პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 5 მარტი, 1952 წ. № 55 (9215). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მეტი ყურადღება მეცნიერების კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას — მოწინავე (1-ლი გვერდი).

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესიის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

ცნობა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ კატინის ტყეში სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრების დახვრეტის გარემოებათა დამდგენი და გამომძიებელი სპეციალური კომისიისა (მე-2 და მე-3 გვერდი).

ბერძენ დემოკრატთა მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ (მე-4 გვერდი).

ინგლის-საბჭოთა საქონლის ბრუნვაროლების საზოგადოების ყოველწლიური კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).

ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის არჩევნების შედეგები (მე-4 გვერდი).

მეტი ყურადღება მეცნიერების კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას

მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადერთი სწორი, მოწინავე, მეცნიერული მსოფლმხედველობაა. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ღრმა და საფუძვლიანი დაუფლების გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება ცოდნის რომელიმე დარგში.

„აუცილებელი არ არის, — გვასწავლის დიდი სტალინი, — რომ სპეციალისტი-მედიკოსი იმავე დროს ფიზიკის ან ბოტანიკის სპეციალისტი იყოს, და პირიქით, მაგრამ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლება, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება აძლევს ჩვენს კადრებს არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევისა და სწორი პოლიტიკური ორიენტაციის უნარს, არამედ მეცნიერების ფართეულ დარგებში, თვით მათი სპეციალობის კონკრეტულ დარგებში შემოქმედებითი, საკვლევო მუშაობის მეცნიერულად დაყენებისა და წარმართვის უნარს. ამაშია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ძალა და ცხოველმყოფელობა.

საბჭოთა მეცნიერება კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე იმ პროგრესულისა და მოწინავესი, რაც კი კაცობრიობის ისტორიას შეუქმნია. მეცნიერებათა ამ ისტორიული მემკვიდრეობის ათვისების გარეშე წარმოუდგენელია საბჭოთა მეცნიერების არსებობა და განვითარება. მაგრამ მეცნიერებათა ისტორიული მემკვიდრეობის ათვისება სრულიადაც არ ნიშნავს ყოველივე იმის ხელაღებით მიღებას, რაც კი დაგროვილა მეცნიერების ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. მეცნიერებათა ისტორიული მემკვიდრეობის ათვისება ნიშნავს ამ მემკვიდრეობის კრიტიკულ დამუშავებას და იმ დადებითი, ძირითადი მარცვლების, იმ ძირითადი მიღწევების აღებასა და გამოყენებას, რამაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერული აზრის განვითარებაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა წარსულის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი კრიტიკულ-შემოქმედებითი მიდგომის მეთოდს. მისი ღრმა დაუფლების გარეშე შეუძლებელია თავის დაღწევა ბურჟუაზიული ობიექტივიზმისა და კოსმოპოლიტიზმისაგან.

უკანასკნელ წლებში ბოლშევიკური პარტიის მიერ მიღებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა ძირეულად გარდაქმნეს და გაუმჯობესეს მეცნიერების კადრების მიერ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლების საქმე. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული განათლების ქსელის მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში; დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერების კადრების მიერ მარქსისტული მსოფლმხედველობის ღრმად დაუფლების საქმეს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა ინსტიტუტებში; გაუმჯობესდა ლექცია-მოხსენებების ხარისხი მეცნიერების ყოველ დარგში; წარმატებებია მიღწეული მეცნიერული და პოლიტიკური შრომების რედაქტირებისა და გამოცემის საქმეშიც.

მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ნაკლოვანებებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი არა მარტო ლექცია-მოხსენებების ხარისხის ამაღლების საქმეში, არამედ მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეშიც. ჯერ კიდევ არიან ისეთი მეცნიერი მუშაკები, რომლებიც ჩაკეტილი არიან თავიანთ ვიწრო პროფესიულ ნაჭუჭში და არ ზრუნავენ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის. მეცნიერ მუშაკთა ცოდნის შეზღუდულობის ფაქტებს ჯერ კიდევ შევხვდებით ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ და სასწავლო ინსტიტუტებში. ზოგიერთ მეცნიერ მუშაკს ჯერ კიდევ ნათლად ვერ წარმოუდგენია, რომ შეუძლებელია რაიმეს მიღწევა ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ისტორიაში ან რომელიმე სხვა დარგში მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლების გარეშე.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს მარქსიზმის სუსტად ცოდნამ, მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებისადმი უყურადღებობამ, მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

1950 წელს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ დაბეჭდა პროფესორ კოკოჩაშვილის წიგნი „მენდელეევის პერიოდული სისტემა“. ავტორმა მოახერხა მე-19 და მე-20 საუკუნის ფიზიკისა და ქიმიის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა ისე, რომ ერთი სიტყვა არ ეთქვა მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლაზე მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანეს დარგში. ავტორმა მოახერხა ბურჟუაზიულ ფიზიკოსთა ღვაწლის დახასიათება ისე, რომ ერთი სიტყვაც არ ეთქვა მათს გნოსეოლოგიურ შეცდომებზე და მარქსიზმის კლასიკოსების მიერ მათს შეფასებაზე. მარქსიზმ-ლენინიზმის სუსტად ცოდნამ განაპირობა ამ წიგნის ზოგიერთი სხვა ნაკლოვანებანიც თვით საკვლევი თემის გაშუქებაში. ავტორი ვერ პოულობს ადგილსა და შესაძლებლობას განაზოგადოს მენდელეევის ისტორიული აღმოჩენა როგორც სამყაროს ერთიანობისა და მატერიალურობის დასაბუთება, როგორც მატერიალიზმის ტრიუმფი, როგორც მისი ჭეშმარიტების უმნიშვნელოვანესი დადასტურება.

პროფესორ კოკოჩაშვილის შრომა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებისადმი უყურადღებობა თავს იჩენს ზოგიერთ მეცნიერ მუშაკთა არა მარტო ნაბეჭდ პროდუქციაში, არამედ ლექცია-მოხსენებებშიც.

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებას ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი ფორმალურად უდგება. მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება არ ნიშნავს იმის (თუნდაც გულმოდგინედ) დასწავლას, თუ პარტიის რომელი ყრილობა რომელ წელს მოიწვიეს, რამდენი დელეგატი ესწრებოდა და რა საკითხები განიხილეს. ცალკეული ფაქტური მონაცემებისა და საერთოდ ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლა უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ პარტიის ისტორიას ჩვენ იმიტომ კი არ ვსწავლობთ, რომ ჩვენმა კადრებმა იცოდნენ ისტორია, როგორც ასეთი, ისტორია თავისთავად. **ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლით ჩვენმა კადრებმა უნდა აითვისონ ბოლშევიზმი, პარტიის პოლიტიკა და ტაქტიკა, პარტიის მსოფლმხედველობა და მეთოდი. ეს არის პარტიული, თეორიული სწავლების მთავარი და არსებითი ამოცანა.**

ბოლშევიკური პარტიის ისტორია ჩვენ გვაძლევს ცოდნისა და გამოცდილების უმდიდრეს მარაგს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, როგორ ვაშენოთ კომუნიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ერთადერთი გზაა ცოდნისა და გამოცდილების ამ მდიდარი წყაროს დაუფლებისათვის.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მეცნიერების კადრების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლების უმნიშვნელოვანეს საქმეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის შესახებ

კავშირის საბჭოს სესია გაიხსნება დღეს, 5 მარტს, დღის 2 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში.

• • •

ეროვნებათა საბჭოს სესია გაიხსნება დღეს, 5 მარტს, დღის 4 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში.

მიტინგი ნ. ვ. გოგოლის საფლავზე

დედაქალაქის მშრომელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი გუშინ, 3 მარტს, შეიკრიბნენ ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე, რათა პატივი ეცათ სიტყვის გენიალური ოსტატის, უკვდავი ლიტერატურული სახეების შემქმნელის, კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი კორიფეს ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის ხსოვნისათვის. საფლავთან, სადაც დადგმულია დიდი რუსი მწერლის ბარმარილოს ბიუსტი, გაიმართა მიტინგი.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის მომწყობი საკავშირო კომიტეტის სახელით მიტინგი გახსნა აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა.

სიტყვები წარმოთქვეს: სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით — ვ. პ. კატაევმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით — ა. ვ. ბოგოლინმა. ისინი ლაპარაკობდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნ. ვ. გოგოლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საბჭოთა კულტურისათვის, ლაპარაკობდნენ ბუნებისა და ადამიანის დიდი ამსახველის განუმეორებელ ნიჭზე.

დიდი რუსი მწერლის საფლავი შეამკეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით. (საკდესი).

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესიის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ულან-ბატორი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესიაზე მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიღებულ აქნა მისალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. ქვემოთ მოყვანილია მისალმების ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი მოწვევის დიდი სახალხო ხურალის მეორე სესია უგულითადეს მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენი მონღოლი ხალხის საყვარელ მამასა და ბრძენ მასწავლებელს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის მეორე სესია პირველი სესიაა, რომელზეც ჩვენთან აღარ იმყოფება საყვარელი, დაუვიწყარი ბელადი მარშალი ჩოიბალსანი. მაგრამ ჩვენთან, მონღოლ ხალხთან არის ჩვენი ერთგული მეგობარი — დიდი საბჭოთა ხალხი, ჩვენთან ხართ თქვენ, დიდად საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩვენო ძვირფასო და ბრძენო მასწავლებელო და მამავ.

საუკუნეების განმავლობაში აურაცხელ ტანჯვასა და მწუხარებას იტანდა მონღოლი ხალხი. ხანები, ფეოდალები და უცხოელი კოლონიზატორები სასტიკად ჩაგრავდნენ ჩვენს მშრომელ ხალხს.

მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და დიდი საბჭოთა ხალხის ძმურმა დახმარებამ მოუტანა მონღოლ ხალხს ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან, სრული გადაშენების საშინელი ხვედრისაგან განთავისუფლება.

დღითიდღე სულ უფრო ძლიერდება ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელის გულში მგზნებარე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება მომძე საბჭოთა ხალხისადმი და თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენი მამისა და ბრძენი მასწავლებლისადმი.

თქვენს სახელთან, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, განუყრელად დაკავშირებულია მონღოლი ხალხის მიერ მოპოვებული სასახელო გამარჯვებანი. ჩვენი ხალხის ყველა წარმატება და მიღწევა ჩვენი გულწრფელი და საუკეთესო მეგობრის — საბჭოთა კავშირის მუდმივი უანგარო დახმარების ნაყოფია, მონღოლი ხალხისათვის თქვენი მამობრივი ზრუნვისა და ყურადღების შედეგია. მონღოლი ხალხი ამაყობს იმ შეგნებით და ბედნიერია იმით, რომ მან საუკუნოდ დაუკავშირა თავისი ბედი თავის გულწრფელ მეგობარს — დიდ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირის დიდი ძმური დახმარებით მონღოლმა ხალხმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და თავისი ბელადის ამხანაგ ჩოიბალსანის ხელმძღვანელობით აღმოფხვრა თავისი სამშობლოს საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, სრულიად შეუცვალა სახე თავის ქვეყანას და მიაღწია უდიდეს წარმატებებს თავისი ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

ჩვენი სამშობლოს მშვენიერი მომავლის, სოციალიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წარმატებითი წინსვლის საწინდრად მონღოლო ხალხს მიაჩნია მონღოლი და საბჭოთა ხალხების მარადიული, ურღვევი ძმური მეგობრობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება და განვითარება.

სიტყვას გაძლევთ, ჩვენო ძვირფასო მამავ და ბრძენო მასწავლებელო, რომ მონღოლი ხალხი, მტკიცედ შეასრულებს რა ჩვენი ბელადების სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის დიად ანდერძს, კვლავაც განამტკიცებს და განავითარებს ამ მეგობრობას, მუდამ იქნება დიდი საბჭოთა კავშირისადმი და თქვენდამი, ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო სტალინ, ერთგული.

დიდი სახალხო ხურალის მეორე სესია მონღოლი ხალხის სახელით მხურვალედ გისურვებთ ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა და მონღოლი ხალხების საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

გაუმარჯოს მონღოლი და საბჭოთა ხალხების მარადიულ ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მეფრეშეს, მონღოლი ხალხის დიდ მეგობარსა და ძვირფას მამას საყვარელ სტალინს!

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის მეორე სესია.

1952 წლის 1 მარტი, ქალაქი ულან-ბატორი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად

★

ფყვარჩელელ მეშახტეთა წარმატებანი

— ახალი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის დღე — 5 მარტი! — ასეთი გადაწყვეტილებით მუშაობენ და მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ტყვარჩელელი მეშახტეები.

ტყიბულელ მეშახტეებთან ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ მოწინავეთა რიგებში მიდის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი. თებერვლის გეგმის გადამეტებით შახტში ამოღებულია ასობით ტონა ქვანახშირი. სტახანოვურად მუშაობს ქვანახშირის კომბაინის—„დონბასის“ მემანქანეთა ბრიგადა, რომელსაც ნ. პოპოვი ხელმძღვანელობს. სამთო კომბაინერები ვ. ონმატი, ი. ხუდალიევი, ნ. კოსტიანოვი და სხვები გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

დიდი საწარმოო აღმავლობა იგრძნობა ბერიას სახელობის შახტში. დადგა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, შახტი გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად ასობით ტონა ქვანახშირს იძლევა. შახტის მოწინავე ადამიანები — მნგრეველები, ამწეხნდები და გამყვანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს და პატრიოტული შრომის საუკეთესო მაგალითებს აძლევენ დანარჩენ მეშახტეებს. მნგრეველთა ბრიგადა, რომელსაც ა. ზარქუა ხელმძღვანელობს, ყოველდღიურ დავალებას 15 პროცენტის გადაჭარბებით ანაღდებს.

შესანიშნავ წარმატებებს აღწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში ახიბლარის შახტის მეორე უბნის კოლექტივი. უბანმა თებერვალში გეგმის გადამეტებით 2.000 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო. მაღალნაყოფიერად მუშაობს ამწეხნდ-დამყრელთა ბრიგადა ი. ტუტაკის ხელმძღვანელობით. ამ ბრიგადამ თებერვალში ასობით ტონა ზეგეგმური ქვანახშირი ამოიღო. მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს აგრეთვე უბნის ახალგაზრდა მეშახტეებმა ო. ჭელიძემ, ი. ჭანტურიამ, მ. ნემსაძემ და სხვებმა.

(„ტყვარჩელის მაღაროელი“).



თბილისის პლასტმასის ქარხნის საარმატურო საამქროს კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით ასრულებს კომუნისტმის დიადი მშენებლობების დაკვეთებს. სურათზე: საამქროს მოწინავე სტახანოველი მეავტომატე ნ. მაისურაძე, რომელიც ელექტრომოწყობილობის დამზადების ყოველდღიურ ნორმას 200-250 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სასახელო მაჩვენებლებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სტახანოვური შრომის ტემპი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის აღსანიშნავად. სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გასული თვის დავალება 102 პროცენტით შეასრულა, ხოლო მარტის პირველ დღეებში უფრო უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს. განსაკუთრებით წინ მიდიან ც. ყიფიანისა და შ. ფანცხავას საუკეთესო ხარისხის პროდუქციისა და მაღალნაყოფიერი შრომის ბრიგადები. ამ საპატიო სახელწოდების მინიჭების შემდეგ აღნიშნული ბრიგადები ერთთიორად მეტ პროდუქციას უშვებენ.

მექანიკურ ქარხანაში მარტის პირველი დღეების დავალებანი სისტემატურად 10-15 პროცენტის გადაჭარბებით სრულდება. სტახანოველი ზეინკლები ს. ყუბანეიშვილი, ა. გაჩიჩილაძე, ა. ბერაძე და სხვები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ ვახტზე დგანან და გეგმებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

★

პირველი კვარტალის გეგმა — 25 მარტისათვის

თბილისის ემალირებული ჭურჭლის ქარხნის კოლექტივმა იანვრის საწარმოო გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. გადაჭარბებით არის განაღდებული თებერვლის დავალებაც. ქარხნის სტახანოველები და დამკვრელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ ვახტზე დადგნენ და იკისრეს პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ 25 მარტისათვის. ამასთან გაიდიდონ შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის ბეჯითად ჰუშაობენ მექანიკური და საიარაღო საამქროები. ამ საამქროების კოლექტივებმა მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა 25 თებერვლისათვის გაანაღდეს. საზეინკლო-ამწყობმა საამქრომ ამავე პერიოდში ორთვენახევრის გეგმა შეასრულა და მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა. საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი ზეინკალი შ. აფციაური ხელმძღვანელობს, მტკიცედ ინარჩუნებს გარდამავალ წითელ დროშას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად გაჩაღებული შეჯიბრების დღეებში ბრიგადა დღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის მოწყობილობას უშვებს.

კირი გეგმის გადამეტებით

სურამი. (საკ. კორ.). საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სურამის კირის ქარხნის კოლექტივმა 25 თებერვლისათვის 118,2 პროცენტით შეასრულა თვიური გეგმა, დაზოგა 50 ტონა საწვავი, 10 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ქარხნის კოლექტივი ჩაება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თებერვლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვა 455 ტონა კირი.

საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ი. ლომიძის ბრიგადა, რომელმაც თებერვლის დავალება 150 პროცენტით გაანაღდა.

ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ სტახანოველები ა. რიკაძე, ს. ჩინჩალაძე, გ. ხაჩიძე, გ. ქიტიაშვილი და სხვები.

მაჯარებლები ჭახია-ჭაშში მიდის

ტახია-ტაში. (საკდესი). ტახია-ტაშში გაყვანილია რკინიგზის ხაზი. სიხარულით შეხვდნენ მშენებლები პირველ თბომავლებს, რომლებმაც ჩამოიყვანეს თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთით სავსე მატარებლები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გზის მშენებლობის უფროსმა ამხ. ხოჯაევმა განაცხადა:

— დამთავრდა 122 კილომეტრი რკინიგზის ხაზის მშენებლობა ურგენჩიდან ტახია-ტაშამდე. ზოგიერთ უბანში გზა გადასერავს ყარა-ყუმის უდაბნოს.

გზის გაყვანა დაკავშირებული იყო მთელ რიგ ტექნიკურ სიძნელეებთან. მშენებლობის მონაწილეებმა გამოიყენეს მძლავრი ტექნიკა, წარმატებით გადალახეს ეს სიძნელეები და მინიმალური სახსრების დახარჯვით შეასრულეს მათ წინაშე დასმული ამოცანა.

ამჟამად მიმდინარეობს მისასვლელი გზების მშენებლობა ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედნის რაიონში.

კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე

სტავროპოლი (კუიბიშევის ოლქი), 1 მარტი. (საკდესი). კუიბიშევის ჰესის შენობისათვის ქვაბულის მშენებლებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. მიუხედავად ზამთრის ძნელი პირობებისა, ქვაბულიდან გრუნტის ამოღების თვიური გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. მარჯვენა ნაპირის ჰიდროტექნიკური რაიონის კოლექტივმა 30 ათას კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი ამოიღო გეგმის გადამეტებით. ახლა 10 მძლავრი ექსკავატორი ამუშავებს ქვაბულს და სულ უფრო ღრმად ჩადის მიწაში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები — საგზაფხელო თესვისათვის

ხარკოვი. (საკდესი). ქალაქის მანქანათმშენებლები საგზაფხულო თესვისათვის უშვებენ ახალ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მათს სათადარიგო ნაწილებს.

გუშინ ტრაქტორის სამარაგო ნაწილთა ქარხნის კოლექტივმა დაამთავრა სიმინდის სარგავი მანქანების პირველი პარტიის დამზადება. პირველ კვარტალში ქარხანა გაიოუშვებს აგრეთვე რამდენიმე ათას ალალი წარმადობის სამარჯვს, რომლის საშუალებით სატრაქტორო სათესები გამოყენებულ იქნება შაქრის ჭარხლის დასათესად ბუდობრივი წესით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების სხვადასხვა ტიპის ცხავებს უშვებს ფრუნზეს სახელობის ქარხანა.

ტრაქტორების ამწყობი ქარხნის კოლექტივმა ვადამდე დაამთავრა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილთა გამოშვების ორი თვის დავალება.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში

სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მოსკოვის მთელ რიგ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობილია სტახანოვური ტექნოლოგიის კურსი. პროფესორებთან და მასწავლებლებთან ერთად მას კითხულობენ წარმოების წარჩინებული ნოვატორები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის დაზგის ქარხნის უფროსმა ოსტატმა ამხ. გონჩაროვმა, სახეხი ჩარხების ქარხნის ხარატმა ამხ. ბიკოვმა, ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ უფროსმა ოსტატმა ამხ. ბელოვმა და სხვებმა ზოამზადეს ლექციების ციკლი დაზგათმშენებლობის ჩქარსანთა ახალი მიღწევების შესახებ. მიკრომეტრების ნაკადური წარმოების ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ თემებზე ლექციებს წაიკითხავს ქარხანა „ალიბრის“ წარჩინებული ოსტატი ამხ. როსიისკი.

მარტში ნოვატორთა პირველი ლექციები გაიმართება ი. ბ. სტალინის სახელობის დაზგასინსტრუმენტო ინსტიტუტში. (საკდესი).

ორი ფირაქი

მარტში გაიმართება სსრ კავშირის სახელმწიფო სვლების მოგებათა ორი ტირაჟი.

9 მარტს ქალაქ ყარაგანდაში მოეწყობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი. ამ სესხის 228 თანრიგზე გათამაშდება 524.719.200 მანეთის 1.966.500 მოგება.

30 მარტს ლენინგრადში გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი სესხის მოგებათა მორიგი ძირითადი ტირაჟი. სულ გათამაშდება 13.950.600 მანეთის 25.500 მოგება. (საკდესი).

ცნობა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ კატინის ტყეში სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრების დახვრეტის გარემოებათა დამდგენი და გამომკვლევი სპეციალური კომისიისა

კატინის ტყე

კატინის ტყე ძველთაგანვე იყო ამორჩეული ადგილი, სადაც სმოლენსკის მოსახლეობა ჩვეულებრივ ისვენებდა დღესასწაულებზე. ახლომახლო მოსახლეობა კატინის ტყეში საქონელს ძოვებდა და სათბობს იმზადებდა. კატინის ტყეში შესვლა ოდნავაც არ იყო აკრძალული და შეზღუდული.

ასეთი მდგომარეობა კატინის ტყეში არსებობდა ომის დაწყებამდე. ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში ამ ტყეში იყო სარეწაო კოოპერაციის დამზღვევი სალაროს პოინერთა ბანაკი, რომელიც დაიხსნა მხოლოდ 1941 წლის ივლისში.

გერმანელ ოკუპანტების მიერ სმოლენსკის ხელში ჩაგდებისთანავე კატინის ტყეში სრულიად სხვა რეჟიმი დამყარდა. ტყეს იცავდნენ გაძლიერებული პატრულები; ბევრ ადგილას გაჩნდა წარწერა, რომელიც გაფრთხილებას იძლეოდა რომ განსაკუთრებული საშეების უქონლად ტყეში შესულ პირებს ადგილზევე დახვრეტდნენ.

განსაკუთრებით სასტიკად იცავდნენ კატინის ტყის იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდებოდა „კოზიი გორი“, აგრეთვე დნეპრის ნაპირზე მდებარე ტერიტორიას, სადაც პოლონელ სამხედრო ტყვეთა აღმოჩენილი საფლავებიდან 700 მეტრზე იყო შინსახკომის სმოლენსკის სამმართველოს აგარაკი—დასასვენებელი სახლი. გერმანელების მოსვლისთანავე ამ აგარაკში მოთავსდა გერმანული დაწესებულება, რომელსაც ეწოდებოდა: „537-ე მშენებელი ბატალიონის შტაბი“.

სამხედრო ტყვე პოლონელები სმოლენსკის რაიონში

სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ გერმანელი ოკუპანტების მიერ სმოლენსკის ხელში ჩაგდებამდე ოლქის დასავლეთ რაიონებში გზატკეცილების მშენებლობასა და რემონტზე მუშაობდნენ პოლონელი სამხედრო ტყვე ოფიცრები და ჯარისკაცები. ეს სამხედრო ტყვე პოლონელები მოთავსებული იყვნენ განსაკუთრებული დანიშნულების სამ ბანაკში 25-დან 45 კილომეტრამდე სმოლენსკის დასავლეთით, რომლებსაც ეწოდებოდა: ბანაკები № 1-ონ, № 2-ონ და № 3-ონ.

მოწმეთა ჩვენებით და დოკუმენტალური მასალებით დადგენილია, რომ საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, შექმნილი ვითარების გამო, ბანაკების თავის დროზე ევაკუირება ვერ მოხერხდა და ყველა სამხედრო ტყვე პოლონელი, აგრეთვე ბანაკთა მცველი რაზმისა და თანამშრომლების ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს.

სპეციალური კომისიის მიერ დაკითხულმა № 1-ონ ბანაკის ყოფილმა უფროსმა სახელმწიფო უშიშროების მაიორმა **ვ. მ. ვეტოშნიკოვმა** აჩვენა:

„...მე მოველოდი ბრძანებას ბანაკის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ სმოლენსკთან კავშირი შეწყდა. მაშინ მე თვითონ რამდენიმე თანამშრომელთან ერთად გავემგზავრე სმოლენსკში მდგომარეობის გამოსარკვევად. სმოლენსკში დაძაბული მდგომარეობა დამხვდა. მე თხოვნით მივმართე დასავლეთის რკინიგზის სმოლენსკის უბნის მოძრაობის უფროსს ამხ. **ივანოვს** უზრუნველეყო ბანაკი ვაგონებით სამხედრო ტყვე პოლონელების გამოსაყვანად. მაგრამ ამხ. **ივანოვმა** მიპასუხა, ვაგონების მიღების იმედი ნუ გექნებაო. შეეცადე დაკავშირებოდი აგრეთვე მოსკოვს, რათა მიმეღო ნებართვა ფეხით წამომეყვანა ტყვეები, მაგრამ ვერ მოვახერხე.

ამ დროისათვის სმოლენსკი გერმანელებმა უკვე მოსწყვიტეს ბანაკს და რა მოუვიდა სამხედრო ტყვე პოლონელებსა და ბანაკში დარჩენილ მცველ რაზმს—არ ვიცი“.

1941 წლის ივლისში დასავლეთის რკინიგზის სმოლენსკის უბნის მოძრაობის უფროსის შემცვლელმა ინჟინერმა **ს. ვ. ივანოვმა** სპეციალურ კომისიას აჩვენა:

„განყოფილებაში მე მომმართა პოლონელ სამხედრო ტყვეთა ბანაკის ადმინისტრაციამ, რათა ვაგონები მიეღო პოლონელთა გადასაყვანად, მაგრამ ჩვენ თავისუფალი ვაგონები არ გვქონდა. გარდა ამისა, ჩვენ არ შეგვეძლო ვაგონები მიგვეწოდებინა გუსინოს ტრასზე, სადაც ყველაზე მეტი სამხედრო ტყვე პოლონელი იყო, რადგან ამ გზას უკვე ცეცხლს უშენდნენ. ამიტომ ჩვენ ვერ შევძელით ბანაკთა ადმინისტრაციის თხოვნის შესრულება. ამრიგად, სამხედრო ტყვე პოლონელები სმოლენსკის ოლქში დარჩნენ“.

სმოლენსკის ოლქის ბანაკებში რომ პოლონელი სამხედრო ტყვეები იყვნენ, ამას ადასტურებს ჩვენება მრავალი მოწმისა, რომლებსაც ეს პოლონელები უნახავთ სმოლენსკის მახლობლად ოკუპაციის პირველ დღეებში 1941 წლის სექტემბრამდე ჩათვლით.

მოწმე მარიამ ალექსანდრეს ასულმა **საშნევამ**, სოფელ ზენკოვოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა, სპეციალურ კომისიას უამბო, რომ მან 1941 წლის აგვისტოში საკუთარ სახლში სოფელ ზენკოვოში შეიფარა ბანაკიდან გამოქცეული სამხედრო ტყვე პოლონელი.

„...პოლონელს პოლონური სამხედრო ფორმა ეცვა, რომელიც მე მაშინვე ვიცანი, რადგან 1940-41 წლების განმავლობაში გზატკეცილზე მინახავს სამხედრო ტყვე პოლონელების ჯგუფები, რომლებიც მცველების მეთვალყურეობით რაღაც სამუშაოებს ეწეოდნენ გზატკეცილზე... პოლონელმა დამაინტერესა იმიტომ, რომ როგორც გამოირკვა, იგი სამხედრო სამსახურში გაწვევამდე დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ყოფილა პოლონეთში. რადგან მე თვითონ დავამთავრე პედაგოგიური ტექნიკუმი და მასწავლებლობისათვის ვემზადებოდი, ამიტომ დაეუწყე მას საუბარი. მან მიამბო, რომ პოლონეთში დაამთავრა სამასწავლებლო სემინარია, ხოლო შემდეგ სწავლობდა რომელიღაც სამხედრო სკოლაში და თადარიგის პოდპორუჩიკი იყო. პოლონეთსა და გერმანიას შორის საომარი მოქმედების დაწყებისთანავე იგი გაიწვიეს ნამდვილ სამსახურში, იმყოფებოდა ბრესტ-ლიტოვსკში, სადაც ტყვედ ჩაუვარდა წითელი არმიის ნაწილებს... წელიწადზე მეტი იგი იმყოფებოდა ბანაკში სმოლენსკის მახლობლად.

როცა გერმანელები მოვიდნენ, მათ ხელთ იგდეს პოლონელთა ბანაკი, დაამყარეს იქ სასტიკი რეჟიმი. გერმანელებს ადამიანებად არ მიაჩნდათ პოლონელები, ყოველნაირად ავიწროებდნენ და აბუჩად იგდებდნენ მათ. იყო შემთხვევები, როცა პოლონელებს სრულიად უმიზეზოდ ხვრეტდნენ. მაშინ მან გაქცევა გადაწყვიტა. თავის თავზე რომ ლაპარაკობდა, მან თქვა, რომ მისი ცოლიც მასწავლებელია, რომ მას ჰყავს ორი ძმა და ორი და...“.

მეორე დღეს წასვლისას პოლონელმა თქვა თავისი გვარი, რომელიც **საშნევამ** ჩაიწერა წიგნში. **საშნევამ** სპეციალურ კომისიას წარუდგინა იაგოდოვსკის წიგნი „პრაქტიკული მეცადინეობა ბუნებისმეტყველებაში“, რომლის უკანასკნელ გვერდზე არის ჩანაწერი:

„**ლოეკი** იუზეფი და სოფიო. ქალაქი ზამოსტეე, ბოსტნის ქუჩა, სახლი № 25“.

გერმანელთა მიერ გამოქვეყნებულ სიებში № 3796-ით ლეიტენანტი იუზეფ **ლოეკი** ირიცხება, როგორც დახვრეტილი კატინის ტყის „კოზიი გორში“ 1940 წლის გაზაფხულზე.

ამრიგად გერმანელთა ცნობით გამოდის, რომ იუზეფ **ლოეკი** დახვრიტეს ერთი წლით ადრე მანამდე, სანამ მას ნახავდა ძოწმე **საშნევა**.

მოწმე **ნ. ვ. დანილენკოვმა**, კატინის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას“ გლეხმა, აჩვენა:

„1941 წლის აგვისტო-სექტემბერში, როცა გერმანელები მოვიდნენ, მე ვხვდებოდი პოლონელებს, რომლებიც გზატკეცილზე მუშაობდნენ 15-20 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად“.

ასეთივე ჩვენება მისცეს მოწმეებმა: სოფელ ბოროკის ყოფილმა მამასახლისმა **სოლდატენკოვმა**, სმოლენსკის ექიმმა **ა. ს. კოლაჩევმა**, მოვდელმა **ა. პ. ოგლობლინმა**, გზის ოსტატმა **ტ. ი. სერგეევმა**, ინჟინერმა **პ. ა. სმირიაგინმა**, სმოლენსკის მცხოვრებმა **ა. მ. მოსკოვსკაიამ**, სოფელ ბოროკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ა. მ. ალექსეევმა**, წყალსადენის ტექნიკოსმა **ი. ვ. კუცევმა**, მოვდელმა **ვ. პ. გოროდეცკიმ**, ბუხჰალტერმა **ა. ტ. ბაზეკინამ**, მასწავლებელმა **ე. ნ. ვეტროვამ**, სადგურ გნეზდოვოს მორიგემ **ი. ვ. სავატეევმა** და სხვებმა.

პოლონელი სამხედრო ტყვეების შეკყრობა

სმოლენსკის რაიონებში 1941 წლის შემოდგომაზე პოლონელი სამხედრო ტყვეების ყოფნას ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ გერმანელებს მრავალჯერ შეუპყრიათ ეს სამხედრო ტყვეები, რომლებიც ბანაკებიდან იყვნენ გაქცეულნი.

მოწმე **ი. მ. კარტოშკინმა**, დურგალმა, აჩვენა:

„სამხედრო ტყვე პოლონელებს 1941 წლის შემოდგომაზე გერმანელები არა მარტო ტყეებში ეძებდნენ, არამედ პოლიციასაც იხმარდნენ სოფლებში ღამით ჩხრეკის მოსახდენად“.

სოფელ ნოვიე ბატეკის ყოფილმა მამასახლისმა **მ. დ. ზახაროვმა** აჩვენა, რომ 1941 წლის შემოდგომაზე გერმანელები გაძლიერებით ჩხრეკდნენ სოფლებსა და ტყეებს, რათა პოლონელი სამხედრო ტყვეები მოეძებნათ.

მოწმე **ნ. ვ. დანილენკოვმა**, კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას“ გლეხმა, აჩვენა:

„ჩვენში სპეციალურ ჩხრეკას ახდენდნენ გამოქცეული სამხედრო ტყვე პოლონელების საძებნელად, ასეთი ჩხრეკა ორჯერ თუ სამჯერ ჩვენს სახლშიც იყო. ერთი ჩხრეკის შემდეგ მე ვკითხე მამასახლის კონსტანტინე **სერგეევს**—ვის ეძებენ ჩვენს სოფელში-მეთქი. **სერგეევმა** მიპასუხა, რომ გერმანელთა კომენდატურიდან მიღებულია ბრძანება, რომლის თანახმადაც უკლებლივ ყველა სახლში უნდა მოხდეს ჩხრეკა, რადგან ჩვენს სოფელში იმალებიან ბანაკიდან გამოქცეული სამხედრო ტყვე პოლონელები. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩხრეკა შეწყდა“.

მოწმე **ტ. ე. ფატკოვმა**, კოლმეურნემ, აჩვენა:

„ჩხრეკა პოლონელი ტყვეების საძებნელად რამდენჯერმე მოეწყო. ეს იყო 1941 წლის აგვისტო-სექტემბერში. 1941 წლის სექტემბრის შემდეგ ასეთი ჩხრეკა შეწყდა და მერე პოლონელი სამხედრო ტყვეები არავის უნახავს“.

პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტა

ზემოხსენებული „537-ე მშენებელი ბატალიონის შტაბი“, რომელიც „კოზიი გორის“ აგარაკზე იყო მოთავსებული, არავითარ სამშენებლო მუშაობას არ ეწეოდა. მისი საქმიანობა ზედმიწევნით კონსპირირებული იყო.

თუ რას აკეთებდნენ ნამდვილად ამ „შტაბში“, ეს აჩვენა ბევრმა მოწმემ, მათ შორის მოწმეებმა: კატინის სასოფლო საბჭოს სოფელ ბოროკის მცხოვრებლებმა **ა. მ. ალექსეევამ, ო. ა. მიხაილოვამ** და **ზ. პ. კონახოვსკაიამ.**

დაბა კატინის გერმანელი კომენდანტის განკარგულებით სოფელ ბოროკის მამასახლისმა **ვ. ი. სოლდატენკოვმა** ისინი გაგზავნა სამუშაოდ აღნიშნულ აგარაკზე „შტაბის“ პირადი შემადგენლობის მომსახურებისათვის.

„კოზიი გორში“ მისვლისას მათ თარჯიმანის მეშვეობით დაუწესეს მთელი რიგი შეზღუდვები: მათ აკრძალული ჰქონდათ მოშორებოდნენ აგარაკს და წასულიყვნენ ტყეში, შესულიყვნენ აგარაკის ოთახებში ისე, თუ მათ არ გამოუძახებდნენ და გერმანელი ჯარისკაცები არ ახლდნენ, ღამით დარჩენილიყვნენ აგარაკის ტერიტორიაზე. სამუშაოზე მოსვლა და წასვლა ნებადართული იყო ზუსტად განსაზღვრული გზით და მხოლოდ ჯარისკაცთა თანხლებით.

ალექსეევას, მიხაილოვას და **კონახოვსკაიას** ეს გაფრთხილება თარჯიმანის საშუალებით მისცა თვით გერმანული დაწესებულების უფროსმა, ობერსტ-ლეიტენანტმა **არნესმა**, რომელმაც ამ მიზნით ისინი თითო-თითოდ გამოიძახა თავისთან.

„შტაბის“ პირადი შემადგენლობის საკითხზე **ა. მ. ალექსეევამ** აჩვენა:

„კოზიი გორის“ აგარაკზე მუდამ იყო 30-მდე გერმანელი, მათი უფროსი იყო ობერსტ-ლეიტენანტი **არნესი**, მისი ადიუტანტი იყო ობერ-ლეიტენანტი რეკსტი. იქ იმყოფებოდნენ აგრეთვე ლეიტენანტი ჰოტი, ვახმისტრი ლუმერტი, სამეურნეო საქმეების უნტერ-ოფიცერი როზე, მისი თანაშემწე იზიკე, ობერ-ფელდფებელი გრენევსკი, რომელიც ელექტროსადგურს განაგებდა, ფოტოგრაფი ობერ-ეფრეიტორი, რომლის გვარი არ მახსოვს, თარჯიმანი ეოლგისპირეთის გერმანელთაგან, მას მგონი იოჰანი ერქვა, მაგრამ ჩვენ მას ივანეს ვეძახდით, გერმანელი მზარეული გუსტავი და სხვები, რომელთა გვარი და სახელი არ ვიცი“.

მალე მუშაობის დაწყების შემდეგ **ალექსეევამ, მიხაილოვამ** და **კონახოვსკაიამ** შენიშნეს, რომ აგარაკზე „რაღაც ბნელი საქმეები“ ხდებოდა.

ა. მ. ალექსეევამ აჩვენა:

„...თარჯიმანმა იოჰანმა, **არნესის** სახელით, რამდენჯერმე გაგვაფრთხილა, რომ „ენას კბილი დავაჭიროთ“ და არ ვიყბედოთ იმაზე, რასაც ვხედავთ და რაც გვესმის აგარაკზე.

გარდა ამისა, მთელი რიგი მომენტებით ვხვდებოდი, რომ ამ აგარაკზე გერმანელები რაღაც ბნელ საქმეებს სჩადიოდნენ...

1941 წლის აგვისტოს დამლევს და მეტ წილ სექტემბერში „კოზიი გორის“ აგარაკზე თითქმის ყოველდღე მოდიოდა რამდენიმე სატვირთო მანქანა.

თავდაპირველად მე ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ შევნიშნე, რომ ყოველთვის, როცა ეს მანქანები აგარაკის ტერიტორიაზე შევიდოდნენ, ისინი წინასწარ ნახევარ საათს, ზოგჯერ კი მთელ საათსაც ჩერდებოდნენ სადღაც სასოფლო გზაზე, რომელიც გზატკეცილიდან აგარაკისაკენ მიდის.

ასეთი დასკვნა იმიტომ გამოვიტანე, რომ აგარაკის ტერიტორიაზე მანქანების შესვლის რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანების ხმაური წყდებოდა. მანქანების ხმაურის შეწყვეტასთან ერთად იწყებოდა კანტიკუნტი სროლა. სროლა ერთმანეთს მისდევდა დროის მოკლე, მაგრამ დაახლოებით თანაბარ მონაკვეთში. შემდეგ სროლა წყდებოდა და მანქანები აგარაკს მიადგებოდა.

მანქანებიდან გამოდიოდნენ გერმანელი ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები. ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან და აბანოში მიდიოდნენ დასაბანად, რის შემდეგ ლოთობდნენ. აბანოს იმ დღეებში ყოველთვის ათბობდნენ.

აგარაკზე მანქანების მოსვლის დღეებში ჩამოდიოდნენ დამატებითი ჯარისკაცები რომელიღაც გერმანული სამხედრო ნაწილიდან. მათთვის სპეციალურად დგამდნენ საწოლებს ჯარისკაცთა კაზინოს შენობაში, რომელიც მოწყობილი იყო აგარაკის ერთერთ დარბაზში. ამ დღეებში სამზარეულოში მზადდებოდა დიდძალი საჭმელი, ხოლო სუფრაზე მოჰქონდათ სპირტის სასმელების ორმაგი ულუფა.

აგარაკზე მანქანების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ეს ჯარისკაცები იარაღით მიდიოდნენ ტყეში, ალბათ მანქანების გაჩერების ადგილას, რადგან ნახევარი საათის ან ერთი საათის შემდეგ ბრუნდებოდნენ ამავე მანქანებით აგარაკზე მუდმივ მცხოვრებ ჯარისკაცებთან ერთად.

მე, ალბათ, ვერ შევნიშნავდი როგორ ნელდებოდა და განახლდებოდა ხოლმე აგარაკზე მოსული მანქანების ხმაური, რომ ყოველთვის, როცა მანქანები მოდიოდა, ჩვენ (მე, **კონახოვსკაია** და **მიხაილოვა**) სამზარეულოში არ შევერეკეთ, თუ ჩვენ ამ დროს აგარაკის ეზოში ვიმყოფებოდით, ანდა არ გამოვეშვით სამზარეულოდან, თუ ჩვენ იქ ვიყავით.

ამ გარემოებამ, აგრეთვე იმან, რომ რამდენჯერმე შევნიშნე ოფიეფეტორის ტანსაცმელზე სისხლი, მაიძულა. გულდასმით მედევნებინა თვალყური იმისათვის, რაც აგარაკზე ხდებოდა. სწორედ მაშინ შევნიშნე მანქანების მოძრაობაში უცნაური შეწყვეტა, მათი გაჩერება ტყეში. აგრეთვე შევნიშნე სისხლი ერთი და იმავე ადამიანების—ორი ეფრეიტორის ტანსაცმელზე. ერთი მათგანი იყო მაღალი, მწითური, მეორე—საშუალო ტანისა, ქერა.

ყოველივე აქედან მე დავასკვენი, რომ გერმანელებს მანქანით აგარაკზე მოჰყავდათ ადამიანები და ხვრეტდნენ მათ. მე დაახლოებით მივხვდი კიდეეაც, სად ხდებოდა ეს, რადგან აგარაკზე მოსვლისას და იქიდან წასვლისას, გზის მახლობლად რამდენიმე ადგილას შევნიშნე ახლადდაყრილი მიწა. ამ ახლადდაყრილი მიწით დაკავებული ფართობი ყოველდღე დიდდებოდა სიგრძეზე. დროთა განმავლობაში მიწამ ამ ადგილებში ჩვეულებრივი სახე მიიღო“.

სპეციალური კომისიის კითხვაზე, ვის ხვრეტდნენ ტყეში აგარაკის მახლობლად, **ალექსეევამ** უპასუხა, რომ ხვრეტდნენ სამხედრო ტყვე პოლონელებს, და თავისი სიტყვების დასადასტურებლად შემდეგი განაცხადა:

„იყო დღეები, როცა აგარაკზე მანქანები არ მოდიოდა, მიუხედავად ამისა, ჯარისკაცები მიდიოდნენ აგარაკიდან ტყეში, იქიდან ისმოდა ხშირი კანტიკუნტი სროლა. დაბრუნების შემდეგ ჯარისკაცები აუცილებლად მიდიოდნენ აბანოში და შემდეგ ლოთობდნენ.

იყო ასეთი შემთხვევაც. ერთხელ როგორღაც ჩვეულებრივზე ცოტა გვიან დავრჩი აგარაკზე. **მიხაილოვა** და **კონახოვსკაია** უკვე წავიდნენ. მე ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი იმ მუშაობის დამთავრება, რის გამოც დავრჩი, რომ მოულოდნელად მოვიდა ჯარისკაცი და მითხრა, შეგიძლია წახვიდეო. ამასთან მან დაიმოწმა **როზეს** განკარგულება. მანვე გამაცილა გზატკეცილამდე.

როცა გზატკეცილზე აგარაკის მოსახვევს 150-200 მეტრით დავცილდი, დავინახე, რომ გზატკეცილზე მოდიოდა 30 კაცამდე სამხედრო ტყვე პოლონელთა ჯგუფი გერმანელთა გაძლიერებული ბადრაგით.

ისინი რომ პოლონელები იყვნენ, ეს იქიდან ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, აგრეთვე რამდენიმე ხანს გერმანელთა მოსვლის შემდეგაც, გზატკეცილზე ვხვდებოდი ასეთსავე ფორმით გამოწყობილ სამხედრო ტყვე პოლონელებს, მათთვის დამახასიათებელი ოთხკუთხა ქუდებით.

მე გავჩერდი გზის ნაპირას და მსურდა მენახა სად მიჰყავდათ ისინი, დავინახე როგორ მოუხვიეს ჩვენი აგარაკისაკენ „კოზიი გორში“.

რადგან ამ დროისათვის მე უკვე გულდასმით ვადევნებდი თვალყურს ყველაფერს, რაც აგარაკზე ხდებოდა, დავინტერესდი ამ გარემოებით, დავბრუნდი ცოტა უკან გზატკეცილზე, დავიმალე ბუჩქებში გზის ნაპირას და დავიწყე ლოდინი. დაახლოებით 20 თუ 30 წუთის შემდეგ გავიგონე დამახასიათებელი, ჩემთვის უკვე ნაცნობი კანტიკუნტი სროლა.

მაშინ ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა, და მე სწრაფად წავედი შინ.

ამ ფაქტიდან აგრეთვე დავასკვენი, რომ გერმანელები, როგორც ჩანს, პოლონელებს ხვრეტდნენ არა მარტო დღისით, როცა ჩვენ აგარაკზე ვმუშაობდით, არამედ ღამითაც, ჩვენი იქ არ ყოფნის დროს. ჩემთვის ეს მაშინ გასაგები გახდა იმიტომაც, რომ მოგონდა შემთხვევა, როცა აგარაკზე მცხოვრებ ოფიცერთა და ჯარისკაცთა მთელი შემადგენლობა, გარდა ყარაულებისა, იღვიძებდა გვიან, დღის 12 საათისათვის.

„კოზიი გორში“ პოლონელების მოსვლა ჩვენ რამდენჯერმე. შევამჩნიეთ დაძაბული ვითარების მიხედვით, რაც ამ დროს აგარაკში სუფევდა... ოფიცერთა მთელი შემადგენლობა მიდიოდა აგარაკიდან, შენობაში რჩებოდა მხოლოდ რამდენიმე გუშაგი, ვახმისტრი კი განუწყვეტლივ ამოწმებდა ტელეფონით პოსტებს...“.

ო. ა. მიხაილოვამ აჩვენა:

„1941 წლის სექტემბერში „კოზიი გორის“ ტყეში ძალიან ხშირად გაისმოდა სროლა. მე ჯერ არ ვაქცევდი ყურადღებას ჩვენს აგარაკთან მოსულ სატვირთო მანქანებს. მწვანედ შეღებილი ეს მანქანები გვერდებიდან და ზემოდან დახურული იყო. მათ მუდამ ახლდნენ უნტერ-ოფიცრები. შემდეგ შევნიშნე, რომ ეს მანქანები არასოდეს არ შემოდიან ჩვენს გარაჟში და ამავე დროს არ ხდება მათი გადმოტვირთვა. ასეთი სატვირთო მანქანები ძალიან ხშირად მოდიოდნენ, განსაკუთრებით 1941 წლის სექტემბერში.

უნტერ-ოფიცრებს შორის, რომლებიც მუდამ ისხდნენ კაბინებში შოფერების გვერდით, შევნიშნე ერთი მაღალი ფერმკრთალი და წითელთმიანი კაცი. როცა ეს მანქანები აგარაკს უახლოვდებოდნენ, ყველა უნტერ-ოფიცერი, თითქოს ბრძანებითო, მიდიოდა აბანოში და დიდხანს ბანაობდა, რის შემდეგ ძალიან ლოთობდნენ აგარაკში.

ერთხელ ეს მაღალი, მწითური გერმანელი გადმოვიდა მანქანიდან, გაემართა სამზარეულოსაკენ და წყალი ითხოვა. როცა იგი ჭიქით წყალს სვამდა, მისი მუნდირის მარჯვენა სახელოს ყოშზე სისხლი დავიხახე“.

ო. ა. მიხაილოვამ და **ზ. პ. კონახოვსკაიამ** ერთხელ პირადად ნახეს როგორ დახვრიტეს ორი სამხედრო ტყვე პოლონელი, რომლებიც, ალბათ, გერმანელებს გამოექცნენ და შემდეგ დაიჭირეს.

მიხაილოვამ ამის შესახებ აჩვენა:

„ერთხელ, როგორც ჩვეულებრივ მე და **კონახოვსკაია** სამზარეულოში ვმუშაობდით, აგარაკის მახლობლად ხმაური შემოგვესმა., როცა გარეთ გავედით, დავინახეთ ორი სამხედრო ტყვე პოლონელი. მათ გარშემორტყმოდნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც რაღაცას განიმარტავდნენ უნტერ-ოფიცერ **როზეს**, შემდეგ მათთან მივიდა ობერსტ-ლეიტენანტი **არნესი** და რაღაც უთხრა **როზეს**. ჩვენ დავიმალეთ, რადგან გვეშინოდა, რომ ცნობისმოყვარეობისათვის **როზე** გვცემდა. მაგრამ მაინც შეგვნიშნეს და მექანიკოსს **გლინევსკიმ**, რომელსაც **როზემ** ანიჭნა, სამზარეულოში შეგვრეკა, ხოლო პოლონელები აგარაკიდან წაიყვანა. რამდენიმე წუთში ჩვენ გავიგონეთ სროლის ხმა. გერმანელი ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცერი **როზე**, რომლებიც მალე დაბრუნდნენ, გაცხოველებით ლაპარაკობდნენ. მე და **კონახოვსკაია** იმისათვის, რომ გამოგვერკვია როგორ მოეპყრნენ გერმანელები დაკავებულ პოლონელებს, კვლავ ქუჩაში გავედით. სწორედ ამ დროს აგარაკის მთავარი შესასვლელიდან გამოვიდა **არნესის** ადიუტანტი, რომელმაც გერმანულად რაღაც ჰკითხა **როზეს**, როზეადაც უკანასკნელმა გერმანულადვე უპასუხა: „ყველაფერი რიგზეაო“. ამ სიტყვების მნიშვნელობა მე გავიგე, რადგან გერმანელები ერთმანეთთან ლაპარაკში ხშირად ხმარობდნენ მათ. ყოველივე ამის მიხედვით, მე დავასკვენი, რომ ეს ორი პოლონელი დახვრიტეს“.

ამ საკითხზე ანალოგიური ჩვენება მისცა აგრეთვე **ზ. პ. კონახოვსკაიამ.**

იმით დაშინებულმა, რაც აგარაკზე ხდებოდა, **ალექსეევამ, მიხაილოვამ** და **კონახოვსკაიამ** გადაწყვიტეს რაიმე მოხერხებული საბაბით ხელი აეღოთ აგარაკში მუშაობაზე. მათ ისარგებლეს იმით, რომ „ხელფასი“ თვეში 9 მარკიდან 3 მარკამდე შეუმცირეს, და, **მიხაილოვას** წინადადებით, 1942 წლის იანვრის დამდეგს სამუშაოზე არ გავიდნენ. იმავე დღეს საღამოს მანქანით მოვიდნენ მათ წასაყვანად, მიიყვანეს აგარაკში და სასჯელის სახით ცივ სარდაფში ჩასვეს — **მიხაილოვა** 8 დღეღამით, ხოლო **ალექსეევა** და **კონახოვსკაია** 3 დღეღამით.

მას შემდეგ, რაც მათ მოიხადეს ეს სასჯელი, ისინი ყველანი დაითხოვეს.

აგარაკზე მუშაობის განმავლობაში **ალექსეევას, მიხაილოვასა** და **კონახოვსკაიას** ეშინოდათ ერთმანეთისთვის გაეხიარებინათ თავიანთი დაკვირვება ყოველივე იმის შესახებ, რაც აგარაკზე ხდებოდა. მხოლოდ როცა ისინი დაატყვევეს და ცივ სარდაფში ისხდნენ, მათ ღამით გაუზიარეს ერთმანეთს ეს.

მიხაილოვამ 1943 წლის 24 დეკემბრის დაკითხვაზე აჩვენა:

„აქ ჩვენ პირველად ვილაპარაკეთ გულახდილად იმაზე, რაც ჩვენს აგარაკში ხდებოდა. მე ვუამბე ყველაფერი რაც ვიცოდი, მაგრამ გამოირკვა, რომ **კონახოვსკაიამ** და **ალექსეევამაც** იცოდნენ ყველა ეს ფაქტი, მაგრამ ისევე, როგორც მე, ეშინოდათ ეთქვათ ჩემთვის. აქვე გავიგე, რომ გერმანელები „კოზიი გორში“ ხვრეტდნენ სწორედ პოლონელ სამხედრო ტყვეებს, რადგან **ალექსეევამ** გვიამბო, რომ ერთხელ 1941 წლის შემოდგომაზე იგი სამუშაოდან ბრუნდებოდა და თითონ დაინახა როგორ შერეკეს გერმანელებმა „კოზიი გორის“ ტყეში სამხედრო ტყვე პოლონელთა დიდი ჯგუფი, შემდეგ კი იქიდან მოესმა სროლის ხმა“.

ანალოგიური ჩვენებანი ამის შესახებ მისცეს აგრეთვე **ალექსეევამ** და **კონახოვსკაიამ.**

შეადარეს რა თავიანთი დაკვირვებანი, **ალექსეევა, მიხაილოვა** და **კონახოვსკაია** მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ 1941 წლის აგვისტოსა და სექტემბერში „კოზიი გორის“ აგარაკზე გერმანელები მასობრივად ხვრეტდნენ სამხედრო ტყვე პოლონელებს.

ალექსეევას ჩვენებას ადასტურებს ჩვენება მისი მამის **მიხეილ ალექსეევისა**, რომელსაც მან ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე აგარაკზე მუშაობის პერიოდში უამბო თავისი დაკვირვება იმ საქმეებზე, რასაც გერმანელები აგარაკზე სჩადიოდნენ.

„მას ჩემთვის დიდხანს არაფერი უთქვამს, — აჩვენა მიხეილ **ალექსეევმა**, — მხოლოდ შინ რომ მოდიოდა, ჩიოდა, რომ აგარაკზე მუშაობა საშინელებაა და არ ვიცი როგორ დავაღწიო თავიო. როცა ვეკითხებოდი, რატომ გუშინია-მეთქი, იგი ამბობდა, ტყეში ძალიან ხშირად ისმის სროლაო. ერთხელ შინ რომ დაბრუნდა, საიდუმლოდ მითხრა „კოზიი გორის“ ტყეში გერმანელები პოლონელებს ხვრეტენო. როცა ეს გავიგონე, მე იგი გავაფრთხილე, აღარავის უამბო ეს, თორემ გერმანელები გაიგებენ და მთელი ჩვენი ოჯახი დაზარალდება-მეთქი“.

ჩვენებანი იმის შესახებ, რომ „კოზიი გორში“ 5-7 გერმანელი ჯარისკაცის ბადრაგით მცირე ჯგუფებად 20-30

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ კაზინის ზყეში სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრების დახვრეტის გარემოებათა დამდგენი და გამომკვლევი სპეციალური კომისიისა

(გაგრძელება)

კაცის შემადგენლობით მიჰყავდათ პოლონელი სამხედრო ტყვეები, მისცეს აგრეთვე სპეციალური კომისიის მიერ დაკითხულმა მოწმეებმა: **პ. გ. კისელიოვმა** — ხუტორ „კოზი გორის“ გლეხმა, **მ. გ. კრივოშეზერცევმა** — კატინის ტყის სადგურ კრასნი ბორის ხურომ, **ხ. ვ. ივანოვმა** — კატინის ტყის რაიონის სადგურ გნეზდოვოს ყოფილმა უფროსმა, **ი. ვ. სავატეევმა** — იმავე სადგურის მორიგემ, **ა. მ. ალექსეევმა**—სოფელ ბოროკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, **ა. პ. ოგლობლინმა** — კუპრინის ეკლესიის მღვდელმა და სხვ.

ამ მოწმეებს დროდადრო ესმოდათ სროლა „კოზი გორის“ ტყიდან.

იმის გამოსარკვევად, თუ რა ხდებოდა „კოზი გორის“ აგარაკზე 1941 წლის შემოდგომაზე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ასტრონომიის პროფესორის, სმოლენსკის ობსერვატორიის დირექტორის **ბ. ვ. ბაზილევსკის** ჩვენებას.

პროფესორი **ბაზილევსკი** გერმანელების მიერ სმოლენსკის ოკუპაციის პირველ დღეებში ძალდატანებით დანიშნეს ქალაქის უფროსის (ბურგომისტრის) მოადგილედ, ხოლო ქალაქის უფროსად გერმანელებმა დანიშნეს ადვოკატი **ბ. გ. მენშაგინი,** რომელიც შემდეგში მათ გაჰყვა, მოღალატე, რომელიც გერმანელთა სარდლობის და კერძოდ სმოლენსკის კომენდანტის **ფონ-შვეცის** განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა.

1941 წლის სექტემბრის დამდეგს **ბაზილევსკიმ** თხოვნით მიმართა **მენშაგინს** ეშუამდგომლა კომენდანტ **ფონ-შვეცის** წინაშე სამხედრო ტყვეების № 126 ბანაკიდან პედაგოგ **ჟიგლინსკის** განთავისუფლების შესახებ. ამ თხოვნის შესასრულებლად **მენშაგინმა** მიმართა **ფონ-შვეცს** და, შემდეგ, **ბაზილევსკის** აცნობა, რომ მისი თხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას, რადგან **ფონ-შვეცის** სიტყვით „ბერლინიდან მიღებულია დირექტივა, რომლის თანახმად სამხედრო ტყვეების მიმართ განუხრელად უნდა ხორციელდებოდეს უსასტიკესი რეჟიმი და არავითარი შეღავათი არ უნდა იქნას დაშვებული ამ საკითხში“.

„მე უნებლიეთ შევესიტყვე,—უჩვენა მოწმე **ბაზილევსკიმ,** — „რაღა შეიძლება იყოს ბანაკში არსებულ რეჟიმზე სასტიკი?“ **მენშაგინმა** უცნაურად შემომხედა, დაიხარა ჩემკენ და ჩუმად მითხრა: „შეიძლება იყოს! რუსები ყოველ შემთხვევაში თვითონ მოკვდებიან, ხოლო პოლონელი სამხედრო ტყვეების შესახებ მოცემულია წინადადება პირდაპირ მოსპონ ისინი“.

„როგორ? როგორ უნდა გავიგოთ ეს?“ — ვუთხარი მე.

„უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. არის ასეთი დირექტივა ბერლინიდან“, — მიპასუხა **მენშაგინმა** და აქვე მთხოვა, „თუ ღმერთი გწამთ, ეს არავის უთხრათო...“

მენშაგინთან ზემოხსენებული ლაპარაკის დღიდან ორი კვირის შემდეგ მე კვლავ ვიყავი მასთან. თავი ვერ შევიკავე და ვკითხე: „რა ისმის პოლონელებზე?“ **მენშაგინმა** დააყოვნა, შემდეგ კი მაინც მიპასუხა: „მათ უკვე ბოლო მოუღეს. **ფონ-შვეცმა** მითხრა, რომ ისინი დახვრიტეს სადღაც სმოლენსკის მახლობლად“.

„ჩემი დაბნეულობა რომ შენიშნა, **მენშაგინმა** კვლავ გამაფრთხილა უაღრესად საიდუმლოდ შეეფარა ეს საქმე და შემდეგ „განმიმარტა“ გერმანელების მოქმედების ხაზი ამ საკითხში. მან თქვა, რომ პოლონელების დახვრეტა რგოლია გერმანელების ანტიპოლონური პოლიტიკის საერთო ჯაჭვისა, პოლიტიკის, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთ-პოლონეთის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით“.

ბაზილევსკიმ სპეციალურ კომისიას უამბო აგრეთვე თავისი საუბრის შესახებ გერმანელთა კომენდატურის მე-7 განყოფილების ზონდერ-ფიუერერთან **გირშფელდთან**—ბალტიისპირელ გერმანელთან, რომელიც კარგად ლაპარაკობდა რუსულად:

„**გირშფელდმა** ცინიკური გულახდილობით განმიცხადა, რომ ისტორიულად დამტკიცებულია პოლონელთა მავნეობა და მათი არასრულფასოვნობა. ამიტომ პოლონეთის მოსახლეობის შემცირება ნიადაგს გაანყიერებს და შექმნის შესაძლებლობას გერმანიის საცხოვრებელი სივრცის გაფართოებისთვისო“. ამასთან დაკავშირებით **გირშფელდმა** ტრაბახით მიამბო, რომ პოლონეთში ინტელიგენცია სრულიად აღარ დარჩა, რადგან იგი ჩამოხრჩობილი, დახვრეტილი და ბანაკებში ჩამწყვდეულიაო“.

ბაზილევსკის ჩვენება დაადასტურა სპეციალური კომისიის მიერ დაკითხულმა მოწმემ — ფიზიკის პროფესორმა **ი. ე. ეფიმოვმა,** რომელსაც **ბაზილევსკიმ** 1941 წლის შემოდგომაზეკვე უამბო **მენშაგინთან** თავისი საუბრის შესახებ.

ბაზილევსკისა და **ეფიმოვის** ჩვენებებს დოკუმენტალურად ადასტურებს **მენშაგინის** ხელით ჩანაწერი თავის ბლოკნოტში.

ეს ბლოკნოტი, რომელიც 17 არასრულ გვერდს შეიცავს, აღმოჩნდა სმოლენსკის ქალაქის სამმართველოს საქმეებში წითელი არმიის მიერ ქალაქის განთავისუფლების შემდეგ.

ის გარემოება, რომ აღნიშნული ბლოკნოტი **მენშაგინს** ეკუთვნის და ჩანაწერიც მისია, დადასტურდა როგორც **ბაზილევსკის** ჩვენებით, რომელიც კარგად იცნობს **მენშაგინის** ხელს, ისე გრაფოლოგიური ექსპერტიზითაც.

ბლოკნოტში არსებული თარიღების მიხედვით მისი შინაარსი ეკუთვნის პერიოდს 1941 წლის აგვისტოს პირველი დღეებიდან იმავე წლის ნოემბრამდე.

სამეურნეო საკითხებზე (შუშის, ელექტროენერგიის, ვაჭრობის შესახებ და სხვ.) სხვადასხვა შენიშვნებს შორის არის **მენშაგინის** რამდენიმე ჩანაწერი, ალბათ, სამახსოვროდ, როგორც სმოლენსკის გერმანელთა კომენდატურის მითითებანი.

ამ ჩანაწერებიდან საკმაოდ გარკვევით ჩანს, თუ რა საკითხებზე მუშაობდა ქალაქის სამმართველო, როგორც ორგანო, რომელიც ასრულებდა გერმანელთა სარდლობის ყველა მითითებას.

ბლოკნოტის პირველ სამ გვერდზე დაწერილებთან ჩამოყალიბებულია ებრაელთა „გეტოს“ მოწყობის წესი და სისტემა რეპრესიებისა, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ებრაელების მიმართ.

მე-10 გვერდზე, რომელიც დათარიღებულია 1941 წლის 15 აგვისტოთი, აღნიშნულია:

„ყველა გაქცეული პოლონელი სამხედრო ტყვე უნდა დააკავონ და მიიყვანონ კომენდატურაში“.

მე-15 გვერდზე (უთარიღოდ) ჩაწერილია:

„დადის თუ არა მოსახლეობაში ხმები „კოზი გორში“ პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტის შესახებ (უმნოვს)“.

პირველი ჩანაწერიდან ჩანს, ჯერერთი, რომ 1941 წლის 15 აგვისტოს პოლონელი სამხედრო ტყვეები ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ სმოლენსკის რაიონში და, მეორე, რომ მათ აპატიმრებდნენ გერმანელი ხელისუფალნი.

მეორე ჩანაწერი მოწმობს, რომ გერმანიის სარდლობა, რომელსაც აწუხებდა ის, რომ ხმები მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ შეიძლებოდა სამოქალაქო მოსახლეობაში გავრცელებულიყო, სპეციალურად აძლევდა მითითებებს ამ თავისი ვარაუდის შემოწმების შესახებ.

უმნოვი, რომელიც მოხსენებულია ჩანაწერში, იყო სმოლენსკის რუსული პოლიციის უფროსი ქალაქის ოკუპაციის პირველ თვეებში.

გერმანული პროპოკაციის წარმოშობა

1942-43 წლების ზამთარში საერთო სამხედრო ვითარება მკვეთრად შეიცვალა არა გერმანელების სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება სულ უფრო იზრდებოდა, სსრ კავშირის ერთიანობა მოკავშირეებთან მტკიცდებოდა. გერმანელებმა გადაწყვიტეს პროვოკაციისათვის მიემართათ, რა მიზნითაც გამოიყენეს მათ მიერ კატინის ტყეში ჩადენილი ბოროტმოქმედება და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს მიაწერეს იგი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამით რუსებს წაჰკიდებდნენ პოლონელებს და დაფარავდნენ თავიანთი დანაშაულის კვალს.

სმოლენსკის რაიონის სოფელ კუპრინოს მღვდელმა **ა. პ. ოგლობლინმა** აჩვენა:

„...სტალინგრადის ამბების შემდეგ, როცა გერმანელებს სიმტკიცე შეერყათ, მათ აღძრეს ეს საქმე. მოსახლეობაში დაიწყო ლაპარაკი „გერმანელები საქმეებს ისწორებენო“.

შეუდგნენ რა კატინის პროვოკაციისათვის მზადებას, გერმანელებმა, უწინარეს ყოვლისა, დაიწყეს „მოწმეების“ ძებნა, რომლებიც რჩევა-დარიგების, მოსყიდვის ზეგავლენით ან მუქარით მისცემდნენ გერმანელებისათვის საჭირო ჩვენებას.

გერმანელების ყურადღება მიიპყრო „კოზი გორის“ აგარაკთან ყველაზე ახლო მდებარე საკუთარ ხუტორში მცხოვრებმა გლეხმა, 1870 წელს დაბადებულმა, პარფენ გაბრიელის-ძე **კისელიოვმა.**

კისელიოვი ჯერ კიდევ 1942 წლის დამლევს გამოიძახეს გესტაპოში და რეპრესიების მუქარით მოსთხოვეს მიეცა ყალბი ჩვენება იმის შესახებ, თითქოს, მან იცის, რომ 1940 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს აგარაკზე „კოზი გორში“ დახვრიტეს სამხედრო ტყვე პოლონელები.

ამის შესახებ **კისელიოვმა** აჩვენა:

„1942 წლის შემოდგომაზე ჩემთან მოვიდა ორი პოლიციელი და წინადადება მომცა გამოვცხადებულიყავი გესტაპოში გნეზდოვოს სადგურზე. იმავე დღეს მივედი გესტაპოში, რომელიც მოთავსებული იყო ორსართულიან სახლში რკინიგზის სადგურის გვერდით. ოთახში, სადაც შევედი, იყვნენ გერმანელი ოფიცერი და თარჯიმანი. გერმანელმა ოფიცერმა თარჯიმანის საშუალებით დამიწყო გამოკითხვა — დიდი ხანია ცხოვრობ ამ რაიონში, რას აკეთებ და როგორია შენი მატერიალური მდგომარეობა.

მე ვუამბე, რომ 1907 წლიდან ვცხოვრობ ხუტორში „კოზი გორის“ რაიონში და ვმუშაობ ჩემს მეურნეობაში. ჩემი მატერიალური მდგომარეობის შესახებ ვუთხარი, რომ სიძნელეებს განვიცდი, რადგან მოხუცებული ვარ, შვილები კი ომში არიან-მეთქი.

ამ თემაზე ხანმოკლე ლაპარაკის შემდეგ ოფიცერმა მითხრა, რომ, გესტაპოში არსებული ცნობების თანახმად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა 1940 წელს კატინის ტყეში „კოზი გორის“ ტერიტორიაზე დახვრიტეს პოლონელი ოფიცრები, და შემეკითხა — რა ჩვენება შემიძლია მიეცე ამ საკითხზე. მე ვუპასუხე, საერთოდ არასოდეს არ გამიგონია, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ვინმე დაეხვრიტოს „კოზი გორში“ და არა მგონია ეს შესაძლებელი იყოს-მეთქი, განვუმარტე ოფიცერს, რადგან „კოზი გორი“ სრულიად ღია მჭიდროდ დასახლებული ადგილია და იქ რომ ხალხი დაეხვრიტათ, ეს ახლომახლო სოფლების მთელ მოსახლეობას ეცოდინებოდა-მეთქი.

ოფიცერმა მიპასუხა, რომ მაინც უნდა მივცე ასეთი ჩვენება, რადგან ეს, ვითომდა, ასე იყო. ამ ჩვენებისათვის მე დიდი გასაძრჯელო აღმოთქვეს.

მე კვლავ განვუცხადე ოფიცერს, რომ დახვრეტის შესახებ არაფერი ვიცი და რომ ეს საერთოდ არ შეიძლებოდა მომხდარიყო ომამდე ჩვენს რაიონში. მიუხედავად ამისა, ოფიცერი დაჟინებით მოითხოვდა მიმეცა ყალბი ჩვენება.

პირველი საუბრის შემდეგ, რაზედაც უკვე მოგახსენეთ, მე მხოლოდ 1943 წლის თებერვალში გამომიძახეს ხელმეორედ გესტაპოში. ამ დროისთვის მე ვიცოდი, რომ გესტაპოში გამოიძახეს მახლობელი სოფლების სხვა მცხოვრებლებიც და მათაც მოსთხოვეს ისეთივე ჩვენება, როგორიც მე.

გესტაპოში იმავე ოფიცერმა და თარჯიმანმა, რომლებთანაც პირველ დაკითხვაზე ვიყავი, კვლავ მომთხოვეს მიმეცა ჩვენება, თითქოს ჩემი თვალით ვნახე, როგორ დახვრიტა 1940 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა პოლონელი ოფიცრები. მე კვლავ განვუცხადე გესტაპოს ოფიცერს, რომ ეს სიცრუეა, რადგან ომამდე არავითარი დახვრეტის შესახებ არაფერი გამიგონია და რომ ყალბ ჩვენებას არ მივცემ. მაგრამ თარჯიმანმა არ მომისმინა, მაგიდაზე აიღო ხელით დაწერილი დოკუმენტი და წამიკითხა. იქ ნათქვამი იყო, რომ მე, **კისელიოვმა,** რომელიც ვცხოვრობ ხუტორში „კოზი გორის“ რაიონში, თვითონ ვნახე როგორ ხვრეტდნენ 1940 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები პოლონელ ოფიცრებს. წამიკითხა რა ეს დოკუმენტი, თარჯიმანმა წინადადება მომცა მომეწერა ხელი. მე უარი განვაცხადე. მაშინ თარჯიმანმა ლანძღვა-გინებასა და მუქარას მიმართა. ბოლოს, მითხრა: „ან ახლავე ხელს მოაწერთ, ან მოგსპობთ. აირჩიეთ!“

მუქარის შიშით მე ხელი მოვაწერე ამ დოკუმენტს, მეგონა, რომ ამით გათავდებოდა საქმე“.

შემდეგში, როცა გერმანელებმა კატინის საფლავებზე მოიყვანეს სხვადასხვა „დელეგაციები“ **კისელიოვი** აიძულეს გამოსულიყო „პოლონელთა დელეგაციის“ წინაშე.

კისელიოვი, რომელსაც დაავიწყდა გესტაპოში ხელმოწერილი ოქმის შინაარსი, დაიბნა და, ბოლოს, უარი თქვა ელაპარაკნა.

მაშინ გესტაპომ დააპატიმრა **კისელიოვი.** თვენახევრის განმავლობაში მას ულმობლად სცემდნენ და კვლავ დაადებინეს პირობა, რომ „საჯაროდ გამოვიდოდა“.

ამის შესახებ **კისელიოვმა** აჩვენა:

„სინამდვილეში ასე როდი გამოვიდა.

1943 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა გამოაცხადეს, რომ კატინის ტყეში „კოზი გორის“ რაიონში მათ აღმოაჩინეს იმ პოლონელი ოფიცრების საფლავები, რომლებიც 1940 წელს თითქოს დახვრიტეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა.

მალე ამის შემდეგ ჩემთან მოვიდა გესტაპოს თარჯიმანი და წამიყვანა ტყეში „კოზი გორის“ რაიონში.

როცა სახლიდან გავედით და მარტო დავრჩით, თარჯიმანმა გამაფრთხილა, რომ ახლა მე ტყეში მყოფ ხალხს უნდა ვუამბო ყველაფერი ზუსტად, როგორც ნათქვამი იყო ჩემ მიერ გესტაპოში ხელმოწერილ დოკუმენტში.

როცა ტყეში მივედი, დავინახე გათხრილი საფლავები და ჩემთვის უცნობ პირთა ჯგუფი. თარჯიმანმა მითხრა, ესენი „პოლონელი დელეგატები“ არიან, რომლებიც საფლავების დასათვალიერებლად მოვიდნენო.

როცა საფლავებთან მივედით, „დელეგატებმა“ რუსულ ენაზე მომცეს სხვადასხვა შეკითხვა პოლონელთა დახვრეტის შესახებ. მაგრამ რადგან გესტაპოში ჩემი გამოძახების შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა, მე ყველაფერი დამავიწყდა, რაც იყო ჩემ მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, დავიბენი და, ბოლოს, ვთქვი, რომ პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ არაფერი ვიცი.

გერმანელი ოფიცერი ძალიან გაბრაზდა, ხოლო თარჯიმანმა უხეშად მომაშორა „დელეგაციას“ და გამაგდო.

მეორე დღეს, დილით, ჩემ სახლს მოადგა მანქანა, რომელშიც გესტაპოს ოფიცერი იჯდა. ეზოში რომ დამინახა, გამომიცხადა, დაპატიმრებული ხარო, მანქანაში ჩამსვა და სმოლენსკის საპყრობილეში წამიყვანა...

დაპატიმრების შემდეგ ბევრჯერ დამიძახეს დაკითხვაზე, მაგრამ უფრო მეტს მცემდნენ, ვიდრე მეკითხებოდნენ. პირველად დამიძახეს, ძლიერ მცემეს და მლანძღეს. მეუბნებოდნენ, მოგვატყუეო. შემდეგ ისევ საკანში გამგზავნეს.

შემდეგი გამოძახების დროს მითხრეს, საჯაროდ უნდა განაცხადო, რომ შენი თვალით ნახე, როგორ დახვრიტეს ბოლშევიკებმა პოლონელი ოფიცრები და სანამ გესტაპო არ დარწმუნდება, რომ ამას კეთილსინდისიერად გააკეთებ, საპყრობილიდან არ გგათავისუფლებთო. მე ოფიცერს განვუცხადე — მირჩევნია საპყრობილეში ვიჯდე, ვიდრე ხალხს ამკარა ტყუილი ვუთხრა მეთქი. ამის შემდეგ ძლიერ მცემეს.

ასეთ დაკითხვაზე, რომლის დროსაც მცემდნენ, რამდენჯერმე გამომიძახეს, რის შედეგად სრულებით დავუძლურდი, ყურში ცუდად მესმოდა და მარჯვენა ხელს ვეღარ ვანძრევდი.

ჩემი დაპატიმრებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გერმანელმა ოფიცერმა გამომიძახა და მითხრა: „აი ხედავთ, **კისელიოვ,** სადამდე მიგიყვანთ თქვენმა ჯიუტობამ. ჩვენ გადავწყვიტეთ სიკვდილით დაგსაჯოთ. დილით წაგიყვანთ კატინის ტყეში და ჩამოგახრჩობთ“. მე ვთხოვე ოფიცერს არ მოვეკალი, ვარწმუნებდი მას, რომ დახვრეტის „მნახველის“ როლისათვის შეუფერებელი ვარ, რადგან საერთოდ ტყეული არ მეხერხება და ამიტომ კვლავ რამეს ავრევ-მეთქი. ოფიცერი თავისას მოითხოვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტში შემოვიდნენ ჯარისკაცები და რეზინის ხელკეტებით დამიწყეს ცემა.

ვეღარ გავუძელ ცემასა და წამებას და დავთანხმდი საჯაროდ გამოვსულიყავი და მელაპარაკნა სიცრუე ბოლშევიკების მიერ პოლონელთა დახვრეტის შესახებ. ამის შემდეგ საპყრობილიდან გამათავისუფლეს იმ პირობით, რომ გერმანელთა პირველი მოთხოვნისთანავე გამოვიდოდი „დელეგაციების“ წინაშე კატინის ტყეში...

თვითეულ შემთხვევაში მანამდე, სანამ წამიყვანდნენ ტყეში, სადაც საფლავები იყო გათხრილი, თარჯიმანი მოვიდოდა ჩემთან სახლში, გამომიძახებდა ეზოში, განზე გამიყვანდა, რომ ჩვენი ლაპარაკი არავის გაეგონა, და ნახევარი საათის განმავლობაში მაზეპირებინებდა ყველაფერს, რაც უნდა მეთქვა იმის შესახებ, რომ შინსახკომმა 1940 წელს თითქოს დახვრიტა პოლონელი ოფიცრები.

მაგონდება, რომ თარჯიმანი დაახლოებით შემდეგს მეუბნებოდა: „მე ვცხოვრობ ხუტორში „კოზი გორის“ რაიონში, შინსახკომის აგარაკის ახლოს. 1940 წლის გაზაფხულზე ვხედავდი, როგორ მიჰყავდათ ტყეში პოლონელები და იქ ღამღამობით ხვრეტდნენ“. და აუცილებლად სიტყვასიტყვით უნდა განმეცხადებინა, „ეს შინსახკომმა ჩაიდინაო“.

როდესაც დავისწავლიდი, რასაც თარჯიმანი მეუბნებოდა, იგი წამიყვანდა ხოლმე ტყეში გათხრილ საფლავებთან და ყველაფერ ამას გამამეორებინებდა ჩამოსული „დელეგაციების“ წინაშე. ჩემს სიტყვებს სასტიკ კონტროლს უწევდა და მიმართულებას აძლევდა გესტაპოს თარჯიმანი.

ერთხელ, რომელიღაც „დელეგაციის“ წინაშე რომ გამოვდიოდი, მომცეს შეკითხვა: „პირადად მინახავს თუ არა ეს პოლონელები მანამდე, სანამ მათ ბოლშევიკები დახვრეტდნენ“. ასეთი შეკითხვისათვის მომზადებული არ ვიყავი და ვუპასუხე, როგორც სინამდვილეში იყო, ე. ი. რომ პოლონელი სამხედრო ტყვეები მინახავს ომის დაწყებამდე, რადგან ისინი გზებზე მუშაობდნენ. მაშინ თარჯიმანმა უხეშად გამათრია განზე და შინ გამაგდო.

გთხოვთ მერწმუნოთ, რომ მუდამ მქენჯნიდა სინდისი, რადგან ვიცოდი, რომ პოლონელი ოფიცრები სინამდვილეში გერმანელებმა დახვრიტეს 1941 წელს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა, რადგან მუდამ მემუქრებოდა ხელმეორედ დაპატიმრება და წამება“.

პ. გ. კისელიოვის ჩვენებას გესტაპოში მისი გამოძახების, შემდგომი დაპატიმრებისა და ცემის შესახებ ადასტურებენ მასთან ერთად მცხოვრებნი მისი ცოლი აქსინია **კისელიოვა,** 1870 წელს დაბადებული, მისი შვილი ვასილ **კისელიოვი,** 1911 წელს დაბადებული, და რძალი მარიამ **კისელიოვა,** 1918 წელს დაბადებული, აგრეთვე გზის ოსტატი ტიმოთე ივანეს-ძე **სერგეევი,** 1901 წელს დაბადებული, რომელსაც **კისელიოვის** ხუტორში ოთახი უქირავია.

გესტაპოში **კისელიოვის** დასახჩრობა (მხრის დაზიანება, სმენის მნიშვნელოვნად დაკარგვა) დადასტურებულია საექიმო-სამედიცინო გამოკვლევის აქტით.

„მოწმეების“ ძებნისას გერმანელები შემდეგ დაინტერესდნენ „კოზი გორიდან“ ორნახევარ კილომეტრზე მდებარე რკინიგზის სადგურ გნეზდოვოს მუშაკებით.

ამ სადგურში 1940 წლის გაზაფხულზე ჩადიოდნენ სამხედრო ტყვე პოლონელები, და გერმანელებმა, როგორც ჩანს, მოისურვეს მიეღოთ რკინიგზელთა სათანადო ჩვენება. ამ მიზნით 1943 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა გესტაპოში გამოუძახეს სადგურ გნეზდოვოს ყოფილ უფროსს **ს. ვ. ივანოვს,** სადგურის მორიგეს **ი. ვ. სავატეევს** და სხვებს.

გესტაპოში თავისი გამოძახების გარემოების შესახებ **ს. ვ. ივანოვმა,** 1882 წელს დაბადებულმა, აჩვენა:

„...ეს იყო 1943 წლის მარტში. მე დამკითხა გერმანელმა ოფიცერმა. დაკითხვას თარჯიმანი ეწყრებოდა. ოფიცერმა თარჯიმანის საშუალებით გამომკითხა — ვინა ხარ და რა თანამდებობა გიჭირავ სადგურ გნეზდოვოზე, სანამ ამ რაიონს გერმანელები დაიკავებდნენო, შემდეგ კი მკითხა, იცი თუ არა, რომ 1940 წლის გაზაფხულზე სადგურ გნეზდოვოში რამდენიმე მატარებლით, დიდ პარტიებად, სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრები ჩამოვიდნენო.

მე ვუთხარი, ეს ვიცი-მეთქი.

მაშინ ოფიცერმა მკითხა, იცი თუ არა, რომ იმავე 1940 წლის გაზაფხულზე, პოლონელი ოფიცრების ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, ბოლშევიკებმა ისინი ყველანი კატინის ტყეში დახვრიტესო.

მე ვუპასუხე, ამის შესახებ არაფერი ვიცი და ეს არც შეიძლება მომხდარიყო, ამიტომ რომ სადგურ გნეზდოვოში 1940 წლის გაზაფხულზე ჩამოსულ სამხედრო ტყვე პოლონელ ოფიცრებს მე საგზაო-სამშენებლო სამუშაოებზე ვხედებოდი 1940-1941 წლების მანძილზე, მანამდე, სანამ სმოლენსკს გერმანელები დაიკავებდნენ.

მაშინ ოფიცერმა განმიცხადა, როცა გერმანელი ოფიცერი ამტკიცებს, პოლონელები ბოლშევიკებმა დახვრიტესო, ეს ნიშნავს, რომ ნამდვილად ასე იყო. „ამიტომ“, განაგრძო ოფიცერმა, „თქვენ არაფრისა არ უნდა გეშინოდეთ, და თქვენ დამშვიდებული სინდისით შეგიძლიათ მოაწეროთ ხელი ოქმს, რომ სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრები ბოლშევიკებმა დახვრიტეს და რომ ეს თქვენი თვალით ნახეთ“.

მე ვუპასუხე, მოხუცი ვარ, უკვე 61 წელი შემისრულდა და მოხუცებაში ცოდვას ვერ დავიდებ-მეთქი. მე შემიძლია მხოლოდ ვაჩვენო, რომ სამხედრო ტყვე პოლონელები მართლაც ჩამოვიდნენ სადგურ გნეზდოვოში 1940 წლის გაზაფხულზე.

მაშინ გერმანელმა ოფიცერმა დამიწყო დარწმუნება, რომ მიმეცა ჩვენება, როგორსაც მთხოვდა, ამასთან მპირდებოდა, რომ ჩემი თანხმობის შემთხვევაში გადამიყვანდნენ დარაჯის თანამდებობიდან და დამნიშნავდნენ სადგურ გნეზდოვოს უფროსის თანამდებობაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს მეკავა, და უზრუნველმყოფდნენ მატერიალურად.

თარჯიმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩემი ჩვენება, როგორც კატინის ტყესთან ყველაზე ახლოს მდებარე სადგურ გნეზდოვოს ყოფილი რკინიგზელი მოსამსახურისა, მეტად მნიშვნელოვანია გერმანიის სარდლობისათვის და რომ არ ვინანებ, თუ მივცემ ასეთ ჩვენებას.

მე მივხვდი, რომ მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი და რომ მწარე ხვედრი მელოდა, მაგრამ მაინც კვლავ უარი ვუთხარი გერმანელ ოფიცერს გამოგონილი ჩვენების მიცემაზე.

ამის შემდეგ ოფიცერმა დამიწყო ყვირილი, მემუქრებოდა ცემას და დახვრეტას, მეუბნებოდა, შენი საკუთარი სარგებლობა არ გესმისო. მაგრამ მე მაინც სიმტკიცეს ვიჩენდი.

მაშინ თარჯიმანმა ერთ გვერდზე გერმანულად შეადგინა მოკლე ოქმი და თავისი სიტყვით მიამბო მისი შინაარსი.

ამ ოქმში, როგორც თარჯიმანმა მიამბო ჩაწერილი იყო მხოლოდ ფაქტი პოლონელ სამხედრო ტყვეთა ჩამოსვლისა სადგურ გნეზდოვოში. როცა დავუწყე თხოვნა, რომ ჩემი ჩვენება ჩაეწერა არა მარტო გერმანულ, არამედ რუსულ ენაზეც, ოფიცერი საბოლოოდ გამოვიდა მოთმინებიდან, რეზინის ჯოხით მცემა და ოთახიდან გამომაგდო...“

ი. ვ. სავატეევმა, 1880 წელს დაბადებულმა, აჩვენა:

„...გესტაპოში მე ვაჩვენე, რომ 1940 წლის გაზაფხულზე სადგურ გნეზდოვოში რამდენიმე მატარებლით მართლაც ჩამოვიდნენ სამხედრო ტყვე პოლონელები და რომ ისინი აქედან მანქანებით წავიდნენ, მაგრამ სად — არ ვიცი. მე აგრეთვე დავძინე, რომ ეს პოლონელები შემდეგ არაერთხელ მინახავს მოსკოვ-მინსკის გზატკეცილზე, სადაც ისინი მცირე პარტიებად დაყოფილნი საროემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ.

ოფიცერმა განმიცხადა, შენ გეშლება, არ შეგეძლო პოლონელები გენახა გზატკეცილზე, რადგან ისინი ბოლშევიკებმა დახვრიტესო, და მოითხოვდა, რომ მე სწორედ ეს მეჩვენებინა. მე უარი ვუთხარი.

ხანგრძლივი მუქარისა და დარწმუნების შემდეგ ოფიცერი რაღაცაზე გერმანულად მოეთათბირა თარჯიმანს, და მაშინ თარჯიმანმა დაწერა მოკლე ოქმი და მომცა ხელმოსაწერად, ამასთან განმიმარტა, რომ ოქმში მოყვანილი იყო ჩემი ჩვენების შინაარსი. მე ვთხოვე თარჯიმანს შესაძლებლობა მოეცა ჩემთვის თვითონ წამეკითხა ოქმი, მაგრამ მან ლანძღვით შემაწყვეტინა სიტყვა და მიბრძანა დაუყოვნებლივ მოვეწერა ხელი ოქმისათვის და გავსულიყავი ოთახიდან. მე ერთი წუთი დავაყოვნე, თარჯიმანმა ჩამოიღო კედლიდან რეზინის ხელკეტი და მომიქნია. ამის შემდეგ ხელი მოვაწერე შემოჩეჩებულ ოქმს. თარჯიმანმა მითხრა, შინ წაეთრიე და არავის არაფერი უთხრა, თორემ დაგხვრეტთო...“

„მოწმეების“ ძებნა დასახელებული პირების მონახვით არ დამთავრებულა. გერმანელები დაეინტერით ცდილობდნენ მოენახათ შინსახკომის ყოფილი თანამშრომლები და მათთვის ჩამოერთმიათ ყალბი ჩვენება, რაც გერმანელებს ესაჭიროებოდათ.

გერმანელებმა შემთხვევით დააპატიმრეს შინსახკომის სმოლენსკის ოლქის სამმართველოს გარაჟის ყოფილი მუშა **ე. ლ. იგნატიუკი** და დაეინტერით ცდილობდნენ მუქარითა და ცემით ჩამოერთმიათ მისთვის ჩვენება, რომ იგი თითქოს გარაჟის მუშა კი არ იყო, არამედ შოფერი და პირადად ეჰყავდა დასახვრეტად სამხედრო ტყვე პოლონელები.

ამ საკითხზე **ე. ლ. იგნატიუკმა,** 1903 წელს დაბადებულმა, აჩვენა:

„როცა პირველად ვიყავი დაკითხვაზე პოლიციის უფროს **ალფერჩიკთან,** მან ბრალი დამდო გერმანელ ხელისუფალთა წინააღმდეგ აგიტაციაში და მკითხა, — რა სამუშაოს ასრულებდი შინსახკომშიო. მე ვუპასუხე, რომ მუშად ვიყავი შინსახკომის სმოლენსკის ოლქის სამმართველოს გარაჟში. ამავე დაკითხვაზე **ალფერჩიკი** ცდილობდა მიმეცა მისთვის ჩვენება, რომ შინსახკომის სამმართველოში ვმუშაობდი არა გარაჟის მუშად, არამედ შოფრად.

ჩემგან საჭირო ჩვენება რომ ვერ მიიღო, **ალფერჩიკი** ძალიან გაბრაზდა, შემდეგ მან და მისმა ადიუტანტმა, რომელსაც იგი ჟორეს ეძახდა, თავებრი ამიხვიეს რაღაც ჩვრით, შარვალი გამხადეს, მაგიდაზე დამაწვინეს და რეზინის ჯოხებით დამიწყეს ცემა.

ამის შემდეგ კვლავ გამომიძახეს დასაკითხავად, და **ალფერჩიკი** ჩემგან მოითხოვდა მიმეცა მისთვის ყალბი ჩვენება, რომ პოლონელი ოფიცრები შინსახკომის ორგანოებმა 1940 წელს დახვრიტეს კატინის ტყეში, რაც მე ვითომც ვიცი როგორც შოფერმა, რომ თითქოს მონაწილეობას ვიღებდი კატინის ტყეში პოლონელი ოფიცრების მიყვანაში და ვესროდი ამათ დახვრეტას. **ალფერჩიკი** მპირდებოდა, თუ დათანხმდები ასეთი ჩვენება მოგვეცე, საპყრობილიდან გაგათავისუფლებთ და საშუშაოდ მოგაწყობთ პოლიციაში, სადაც ცხოვრების კარგ პირობებს შეგიქმნით, თუ არა და დაგხვრეტთო...

უკანასკნელად პოლიციაში დამკითხა გამომძიებელმა **ალექსანდროვმა,** რომელიც ჩემგან მოითხოვდა ისეთსავე ყალბ ჩვენებას პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ, როგორსაც **ალფერჩიკი.** მაგრამ დაკითხვისას მასაც უარი ვუთხარი მომეცა მოგონილი ჩვენება.

ამ დაკითხვის შემდეგ კვლავ მცემეს და გესტაპოში გამგზავნეს...

...გესტაპოში, ისევე როგორც პოლიციაში, მოითხოვდნენ, რომ მიმეცა ყალბი ჩვენება კ

ბერძენ დემოკრატთა მივარდნა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკადესი). დღეს სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის აღმასრულებელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ს. კ. ცარაპკინმა გენერალური ასამბლეის VI სესიის თავმჯდომარეს პადილა ნერვოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ბ-ნო თავმჯდომარეო, ამასთან გიგზავნით სოკედლმისჯილი ბერძენი პატრიოტების ნიკოს ბელოიანნისისა და ელი ალანიდისაგან და მათი ნათესავებისაგან ი. ბ. სტალინის სახელზე მიღებულ შემდეგ დეპეშებს:

„გენერალისიმუს სტალინს.

ჯაშუშობის ყალბი ბრალდების საფუძველზე ათენის სამხედრო ტრიბუნალის სამეფო კომისარმა სასიკვდილო განაჩენი მოითხოვა ამის ხელის მომწერლებისათვის: ნიკოს ბელოიანნისის, ელი ალანიდუს, ლაზარიდისისა და სხვებისათვის.

მოგმართავთ თქვენ, საყოველთაო მშვიდობისათვის მამაც მებრძოლს, და გაცნობებთ ომის გამჩაღებელთა ახალ განზრახვას—სასიკვდილო განაჩენებით გააღვივონ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისადმი სიძულვილი და ჩვენს სისხლში ჩაახრჩონ ბერძენი ხალხისა და სხვა ხალხების მისწრაფება მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფალი ცხოვრებისადმი. გთხოვთ პირადად ჩაერიოთ, რათა თავიდან აცილებულ იქნას ახალი დანაშაული, რომელიც ახლა მზადდება.

ნიკოს ბელოიანისი, ელი ალანიდუ".

„გენერალისიმუს სტალინს.

ათენის სამხედრო ტრიბუნალის სამეფო კომისარმა მოითხოვა ჩვენი შვილების ნიკოს ბელოიანისის, ელი ალანიდუს და 10 სხვა ბრალდებულისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. არის იმის საშიშროება, რომ განაჩენს დაუყოვნებლივ შეასრულებენ შემდეგი მიზეზებით: სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ ალარ იქნება კანონიერი საფუძველი მისი შეუსრულებლობისათვის; საქმე შეეხება მოქალაქეებს, რომელთაც ერთხელ უკვე გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი სამი თვის წინათ პოლიტიკური რწმენისათვის. აღნიშნული მოქალაქენი იზოლირებული არიან ასფალტიანი 1950 წლიდან. ჩვენი ქვეყანა არსებითად ომის მდგომარეობაშია.

რადგან იმათ შორის, ვისთვისაც სამეფო კომისარმა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მოითხოვა, არის მეძუძური დედა, აგრეთვე ომისათვის, რომ ჩვენს მრავალტანჯულ საშობლოს არ სურს მეტი სისხლი ალამედ, პირიქით, ენატრება სიწყნარე და ვნებათა ღელვის დამშვიდება, ჩვენ ვხედავთ თორმეტივეს სახელით მიგმართოთ თქვენს ადამიანურ გრძნობებს და გთხოვთ დახმარება. ყოველის მიტევებისა და ლმობიერების წმიდათა-წმიდა კანონის გულისთვის გემუდარებით გამოიყენოთ მთელი თქვენი ავტორიტეტი და მოახდინოთ გავლენა ჩვენს მთავრობაზე, რომ მან არ დაუშვას მომავალი დახვრეტა.

უდიდესი პატივისცემით ვასილიკი ბელოიანი, ირო პაპა".

ზემოაღნიშნულის გამო, გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარეო, მიიღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ს.შუალებით სსრფაო ზომები ამ ბერძენ პატრიოტთა სიცოცხლის გადასარჩენად, აგრეთვე გამოსცეთ ეს წერილი როგორც გენერალური ასამბლეის დოკუმენტი და დაუგზავნოთ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობებს. პატივისცემით ს. კ. ცარაპკინი".

გოგოლის დღეები პრაღაში

პრაღა, 2 მარტი. (საკადესი). გუშინ საღამოს ხელოვნების მუშაკთა პრაღის სახლში გაიმართა გენიალური რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რეს-პუბლიკის მთავრობის წევრები, ეროვნული კრების თავმჯდომარე ო. ალინი, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, დედაქალაქის საწარმოთა მოწინავენი, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ზდენეკ ნეიედლმ.

უდიდესი რუსი რეალისტი მწერლის ნ. ვ. გოგოლის შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ინფორმაციისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ ჩეხმა პოეტმა ირი ტაუფერმა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა რიო გორმა.

შემდეგ საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მე-100 წლისთავის მომწყობი საკავშირო საიუბილეო კომიტეტისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოსადმი.

შემდეგ გამართულ კონცერტში პრაღის თეატრების გამოჩენილმა ოსტატებმა შესასრულეს ნ. ვ. გოგოლის პროზულ და დრამატულ ნაწარმოებთა ნაწყვეტები, შესრულებულ იქნა აგრეთვე დიდი რუსი მწერლის სიუჟეტებზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები.

ფინეთის პრესა აღნიშნავს ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მეასე წლისთავს

ჰელსინკი, 4 მარტი. (საკადესი). ფინეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მეასე წლისთავს.

ფინელი ხალხისათვის კარგად არის ცნობილი ნ. ვ. გოგოლის ბევრი ნაწარმოება. აქამდე ფინურ ენაზე თარგმნილი იყო: პოემა „მკვდარი სულები", მოთხრობა „ტარას ბულბა", „ცხვრი", „ვიი", „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან", კომედიები „რევიზორი" და „ქორწინება".

ბევრი გაზეთი და ჟურნალი აქვეყნებს გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიებს.

გაზეთმა „ვაპაა სანამ" გამოაქვეყნა ფინელი პროგრესული მწერლის მაია საუტიეს სტატია „ნიკოლოზ გოგოლი—რეალიზმის მაუწყებელი".

ამ სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია გოგოლის უდიდესი მნიშვნელობა მთელი მსოფლიო ლიტერატურისათვის.

გაზეთმა „ტიუეკანსან სანომატმა" დაბეჭდა პროფესორ ეინო კალიმის, რეჟისორ იუ�i სნელმანისა და მსახიობ კაარლო ხალტუნენის მიერ გოგოლის შესახებ გამოთქმული აზრები.

ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის არჩევნების შედეგები

დელი, 3 მარტი. (საკადესი). გამოქვეყნდა ინდოეთის პარლამენტის ქვედა—სახალხო პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები.

სახალხო პალატაში შედის 497 დეპუტატი. აქედან 489 დეპუტატი არჩეულია პარლამენტის არჩევნების შედეგად, ხოლო რვას დანიშნავს ინდოეთის პრეზიდენტი (ექვსს—ჯამუსა და კაშმირისაგან, ერთს—ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებისაგან და ერთს—ასამის მთიანი რაიონებისაგან).

არჩევნების შედეგები მოწმობს რომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გაერთიანებულმა მემარცხენე ფრონტმა, რომელსაც სათავეში უდგას ინდოეთის კომუნისტური პარტია. ამ პარტიამ სახალხო პალატაში მიიღო 27 ადგილი და დეპუტატების რიცხვის მიხედვით მეორე ადგილი დაიჭირა პარლამენტში ყველა პარტიას შორის. გაერთიანებულმა მემარცხენე ფრონტმა ამ წარმატებას მიაღწია მიუხედავად იმ რეპრესიებისა, რასაც მისი კანდიდატები არჩევნების დროს განიცდიდნენ.

ყველაზე მეტი ადგილი (363) მიიღო მმართველმა პარტიამ—პარტია ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, რომელმაც თავისი კანდიდატები დაასახელა ინდოეთის ყველა საარჩევნო ოლქში. პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის კანდიდატები დამარცხდნენ 126 საარჩევნო ოლქში, რაც იმას მოწმობს, რომ პარტიის პრესტიჟი მნიშვნელოვნად დაეცა ინდოელი ხალხის თვალში.

არჩევნებში სრული დამარცხება განიცადა ინდოეთის სოციალისტურმა პარტიამ, რომლის ხელმძღვანელობაც უკვე დიდი ხანია ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურად გადაიქცა ამ პარტიამ სახალხო პალატაში დაასახელა 255 კანდიდატი, რომელთაგან არჩეულ იქნა მხოლოდ 12 კაცი.

„პრაჯა პარტიმ"—პარტიამ, რომელიც ამას წინათ გამოეთიშა პარტია ინდოეთის ეროვნულ კონგრესს, დაასახელა 137 კანდიდატი და 10 ადგილი მიიღო სახალხო პალატაში.

დანარჩენმა 17 პარტიამ, რომელებსაც ახლა თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ პარლამენტში, თვითეულმა სახალხო პალატაში მიიღო 1-5 ადგილი. დამოუკიდებლებს აქვთ 36 ადგილი.

ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ
კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის განცხადება

ფუსანი, 3 მარტი. (საკადესი). ამ შემაძრწუნებელმა ბოროტმქმედებამ, რაც კორეაში ჩაიდინეს ამერიკელმა ინტერვენტებმა, რომლებმაც ადამიანთა მასობრივი ქლეტის ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს, მთელი კორეელი ხალხის უძლიერესი გულისწყრომა გამოიწვია ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ.

ამერიკელ ინტერვენტთა ამ ახალ ბოროტმქმედებასთან დაკავშირებით კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ლი დონ ენმა განაცხადა:

„გაჩაღეს რა კორეაში აგრესიული ომი, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები საშინელ ბოროტმქმედებას სჩადიან და უზეშად თელავენ ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის ყველაზე ელემენტარულ ნორმებსა და ადამიანური მორალის საფუძვლებს. ამერიკელ ინტერვენტთა საშინელი დანაშაულია მათ მიერ ქიმიური, ხოლო შემდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელებმა ბაქტერიოლოგიური იარაღის ფართოდ გამოყენება დაიწყეს მას შემდეგ, რაც გადამწყვეტი მარცხი განიცადეს კორეის ფრონტზე და დაკარგეს იმის იმედი, რომ იარაღის, ზარბაზნების, თვითმფრინავებისა და ტანკების ძალით გატეხენ კორეელი ხალხის ნებისყოფას. იმ პერიოდში, როცა კესონში დაზავების შესახებ მოლაპარაკება წარმოებს, რასაც ყოველმხრივ ეჩინარებს ამერიკელთა მხარე, ინტერვენტები შეეცადნენ შავი ჭირის, ხოლერისა და ტიფის ეპიდემიის მუქარით აიძულონ კორეელი ხალხი დაემორჩილოს ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატს.

კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაკები უაღრესად აღშფოთებული არიან ამერიკელ ბარბაროსთა ამ ბოროტმქმედებებით და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რათა ხელი შეუშალონ ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის, აგრეთვე კორეის სახალხო არმიის მეომრებისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა მასობრივ მოსპობას. წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანოებმა შექმნეს ბაქტერიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ მებრძოლი პრაგალი რაზმი. იმ ადგილებში, სადაც ინტერვენტებმა სენის გამავრცელებელი მწერები ჩამოყარეს, წარმოებს მათი მოსპობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკებთან ერთად კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლები ყოველ ღონისძიებას მიიღებენ ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად. ისინი მტკიცედ შეასრულებენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო კომიტეტის ბრძანებას, რომლითაც გათვალისწინებულია მოწინააღმდეგის ბაქტერიოლოგიურ იარაღთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი.

მთელ კორეელ ხალხთან ერთად კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაკები მოითხოვენ, რათა ხალხთა სამართლიან სამსჯავროს გადაეცეს ბაქტერიოლოგიური იარაღის—ადამიანთა მასობრივი ქლეტის იარაღის გამოყენების სინდისიერი გეგმების ყველა ორგანიზატორი და შემსრულებელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სესიაზე

ჟენევა, 4 მარტი. (საკადესი). გუშინ ერთა სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მე-7 სესია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებენ 23 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ალბანეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის და სხვ. წარმომადგენლები.

სესია გაიხსნა კომისიის აღმასრულებელი მდივნის მიურდალის შესავალი სიტყვით.

მიურდალმა აღიარა, რომ ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც საჭიროა, რათა მიღწეულ იქნას ევროპის რაც შეიძლება უფრო სრული ეკონომიური განვითარება, ეკონომიურ კომისიას ჯერაც არ გადაუჭრია.

მიურდალმა თავის სიტყვაში, კერძოდ, განაცხადა, რომ გაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უფრო ნორმალური ურთიერთობის თანდათანობით აღდგენის საფუძველი უნდა იყოს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე

ლონდონი, 3 მარტი. (საკადესი). 2 მარტს მუშაობა დამთავრა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყოველწლიურმა კონფერენციამ.

კონფერენციაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გმობს ბიკუნუზულ პრესასა და რადიოს, რადგან ისინი უარს აცხადებენ გამოაქვეყნონ ამ პროფკავშირულ დელეგაციების წევრთა ანგარიშები, რომლებმაც ინახულეს სსრ კავშირი ამ უკანასკნელ წლებში.

„კონფერენცია, — ნათქვამია რეზოლუციაში, — აფრთხილებს ინგლისელ ხალხს, რომ ის პირნი, რომლებიც კონტროლს უწევენ პრესის ორგანოების მეტ ნაწილს და ბრიტანეთის რადიოს მაუწყებლობის კორპორაცია — ბიბისის, განზრახ ცდილობენ დაუშალონ მოსახლეობას იმ მუშების ნაამბობი, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, რადგან ეს მართალი ამბები ძლიერ შეარყევდა ცივი ომისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდის აწლანდელ პოლიტიკას". კონფერენციამ ინგლისის მთავრობას მიმართა მოწოდებით—განაზორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1947 წლის ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც გმობს ომის პროპაგანდას, და ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას ბიბისისა და პრესის საშუალებით.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა.

საზოგადოების პრეზიდენტად კვლავ ერთსულოვნად არჩეულია კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი დოქტორი ჰიულეტ ჯონსონი. თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ჯონ პლეტმილსი.

მდგომარეობა ფუნისში

პარიზი, 3 მარტი. (საკადესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ქალაქ ტუნისში გაიმართა მშრომელთა ახალი დიდი მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ასეულმა კაცმა. მანიფესტანტები გაუმართნენ საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის შენობისაკენ. მაგრამ მათ დახვდნენ პოლიციის დიდი რაზმები. პოლიციელებმა იარაღი იხმარეს. მანიფესტანტებს შორის არიან დაჭრილები. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, პოლიციამ ბევრი დაპატიმრა.

გაზეთი „ლიბერასიონი" იუწყება, რომ საფრანგეთის პოლიცია და ჯარები აწარმოებენ მოქტორის რაიონის ეგრეთწოდებულ „გაწმენდის" ოპერაციას. ტუნისში საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალი განაგრძობს განაჩენის გამოტანას ტუნისელი პატრიოტებისათვის, რომლებსაც ბრალად ედებათ „იარაღის შენახვა".

„ლუმანიტე" იუწყება, რომ გუშინ პარიზში გაიმართა საფრანგეთში მომუშავე და მცხოვრებ ალჟირელ, ტუნისელ და მაროკოელ მშრომელთა წარმომადგენლების კრება. მათ მიიღეს რეზოლუცია, სადაც სოლიდარობას უცხადებენ ტუნისელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 მარტი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეგრძელდ ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამშრომლებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

ჩვენი ჯარების საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 7 თვითმფრინავი ამ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის რაიონებზე ბარბაროსულ თავდასხმებში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 2 მარტი. (საკადესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან თუწყება:

29 თებერვალს შტაბის ოფიცრების სხდომაზე, რომლებიც განიხილავენ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს, ამერიკელებმა კორეისა და ჩინეთის მხარისაგან ქედმაღლურად მოითხოვეს, რომ მხოლოდ იგი წავიდეს დათმობაზე ჯარების მორიგების და გადმოტვირთვის პუნქტების საკითხში. ამერიკელებს სურთ, რომ ჩვენი მხარე დათანხმდეს როგორც 35 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარების ყოველთვიურ მორიგებაზე, ისე მათს მოთხოვნაზე თვითეული მხარისათვის გადმოტვირთვის ექვსი სპეციალური პუნქტის გამოყოფის შესახებ. ამერიკელებმა ისიც კი გაბედეს, რომ მიმართეს შეურაცხა, თუ ჩვენს მოსაზრებას თქვენი მხარის მიერ დასახელებული ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურების შესახებ არ მიიღებთ, მოლაპარაკებას შეეწყვეტთო.

ჩვენი მხარის შტაბის ოფიცერმა ლაგმო ეს თავხედური შეურაცხა და განაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაციამ მტკიცედ ამბობს უარს დათანხმოს იმ მოთხოვნას, რომ მარტო ჩვენი მხარე წავიდეს დათმობაზე ჯარების მორიგებისა და გადმოტვირთვის პუნქტების საკითხში, აგრეთვე მტკიცედ ამბობს უარს დაეთანხმოს დაუსაბუთებელ უარყოფას ჩვენი მხარის მიერ დასახელებული კანდიდატურებისა, რომელნიც შეესაბამებიან ნეიტრალური ქვეყნის განსაზღვრას.

ჩვენმა მხარემ შეიტანა ფრიად გონივრული კომპრომისული წინადადება, რათა თვითეულ მხარეს შეეძლოს განახორციელოს ყოველთვიურად 35 ათასი კაცისგან შემდგარი ჯარების მორიგება და ჰქონდეს გადმოტვირთვის ხუთი სპეციალურად გამოყოფილი პუნქტი. ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურების მიმართ ჩვენმა მხარემ წამოაყენა ორი სამართლიანი ალტერნატივა, სახელდობრ: რომ თვითეული მხარე ერთისა და იმავე დროს დათანხმდეს მეორე მხარის მიერ დასახელებულ ყველა კანდიდატურაზე, ან რომ თვითეულმა მხარემ შეთანხმების რაიმე პროცედურის მიუხედავად დასახელოს სამი ნეიტრალური ქვეყანა.

თუ ამერიკელებს ნამდვილად სურთ მოლაპარაკებაში პროგრესის მიღწევა, განაცხადა ჩვენმა შტაბის ოფიცერმა, მათ სავსებით სერიოზულად უნდა განიხილონ და მიიღონ კორეისა და ჩინეთის მხარის წინადადებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა იცისრონ მთელი პასუხისმგებლობა მოლაპარაკების გაჭიანურების ან ჩაშლისათვისაც კი.

მე-4 პუნქტის განმხილველი შტაბის ოფიცრების 22 დღის სხდომებზე მიღწეული შეთანხმება შეზღუდულია იმ მუხლების ზოგიერთი შედარებით მეორეხარისხოვანი საკითხით და ფორმულირებით, რომლებიც ამ საკითხებს ეხება. ამერიკელები კვლავ დაჟინებით მოითხოვენ იმის მიღებას, რასაც ისინი „ნებაყოფლობითს რეპატრიაციას" უწოდებენ, და ეს ერთადერთ დაბრკოლებად რჩება მე-4 პუნქტზე შეთანხმების მიღწევისათვის.

კორეისა და ჩინეთის მხარეს არაერთხელ განუმარტავს, რომ შეუძლებელია რაიმე მოწესრიგება მანამდე, სანამ ამერიკელები დაჟინებით მოითხოვენ „ნებაყოფლობითს რეპატრიაციას", მიუხედავად იმისა, თუ რომელ ინსტანციაში განიხილება ეს საკითხი. მაგრამ, რამდენადაც ამერიკელები დაჟინებით მოითხოვენ „ნებაყოფლობითს რეპატრიაციას" და შტაბის ოფიცრების სხდომაზე შეუძლებელია რაიმე პროგრესი, კორეისა და ჩინეთის მხარე დათანხმდა ამერიკის წინადადებაზე, რომ ეს გადაუჭრელი საკითხი გადაეცეს ქვეკომიტეტს.

29 თებერვალს 22 დღის შეწყვეტის შემდეგ ქვეკომიტეტმა განაახლა მუშაობა.

კორეისა და ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა ქვეკომიტეტის სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ყველა სამხედრო ტყვის განთავისუფლებისა და რეპატრიაციის პრინციპი, როგორც იგი წამოაყენა ჩვენმა მხარემ, ავრეთვე ჩვენი არაერთგზისი დათმობა მოლაპარაკებაში ცხადყოფს, რომ ჩვენ სამართლიანი და გულწრფელი ვართ. ეს პრინციპი—ყველა სამხედრო ტყვის განთავისუფლება და რეპატრიაცია — არის პრინციპი, რომლის წინააღმდეგ თქვენი მხარეც კი ვერ ბედავს აშკარად გალაშქრებას. თქვენმა მხარემ წამოაყენა მანკიერი საბუთი იმის შესახებ, რომ ჩვენი სამხედრო ტყვეების განთავისუფლება ჩვენი სამხედრო ძალიერების გადიდებას უდრის. ეს მოწმობს, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხში თქვენ ნამდვილად გაწუხებთ არა სამხედრო ტყვეების უფლებები და კეთილდღეობა, არამედ შეიარაღებული ძალები.

ამ დაბრკოლების გადალახვისა და ამ საკითხის გადაჭრის მიზნით ჩვენმა მხარემ წამოაყენა წინადადება—ორივე მხარემ უზრუნველყოს, რომ რეპატრიაციის შემდეგ ტყვეებმა არ მიიღონ მონაწილეობა კორეის ომში მარტო ამით გაჰხდა შესაძლებელი შტაბის ოფიცრების სხდომების განგრძობა.

დიდია წვლილი, რომელიც ჩვენ შევიტანეთ მე-4 პუნქტის განმხილველ სხდომებში. მიუხედავად ამისა, მიუხედავად ჩვენი არაერთგზისი დათმობისა, თქვენს მხარეს ჯერ კიდევ არ აუღია ხელი ცდაზე, რომ დააკავოს ჩვენი სამხედრო ტყვეები, სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ თქვენ მეტი სამხედრო ტყვე გყავთ ამის საშინელი დემონსტრაცია იყო ის, რომ თქვენ ამას წინათ მასობრივად დახოცეთ და აწიოკეთ ჩვენი ტყვეები კუნძულ კო